

ორი თეორია ქართველი ხალხის ჩამოყალიბების დროის შესახებ

XX საუკუნის ბოლოს საქართველოს სახელმწიფომ ტერიტორიის მეექვსედი და შავი ზღვისპირეთის თითქმის ნახევარი დაკარგა, აფხაზეთიდან ქართველების გამოდევნის შემდეგ სეპარატისტები აცხადებდნენ, რომ მათმა მცირერიცხოვანმა ერმა თავისი ვაჟკაცობითა და გმირული სულისკვეთებით სამშობლოს მიწა-წყალი დაიცვა და ოკუპანტები საკადრისად დაამარცხა. მართალია, ჩვენ ვიცით, თუ რა იყო ნამდვილი მიზეზი, მაგრამ დამარცხებასთან ერთად ვიწვინეთ გამოდევნის სირცხვილის სიმწარე და ქართველთა გენოციდი.

კონკრეტულად ვინ დამარცხდა, რომელი ნაწილი საზოგადოებისა? ალბათ ყველა ერთად. არმიამ, მთავრობამ, ინტელიგენციამ, ისტორიკოსებმა, სასულიერო წოდებამ, საზოგადოების ყველა ფენამ უნდა იტვირთოს წილი დამარცხებისა. ალბათ ახლა საჭიროა არა თავის მართლება, არამედ ანალიზი, თუ რა იყო მიზეზი ამისა.

ერთ-ერთი მიზეზი დამარცხებისა უნდა ყოფილიყო მოვლენის არსში საზოგადოების გაურკვევლობა, არაინფორმირებულობა, როცა ხალხმა, მით უმეტეს კონფლიქტში უშუალოდ მონაწილე მებრძოლებმა არ იცოდნენ ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი, ხალხისათვის უცნობი იყო ჭეშმარიტება, სიმართლე და სინამდვილე.

ახლაც კი, ამდენი უბედურების შემდეგ, ჩვენი საზოგადოება კვლავ გაურკვევლობის ბურუსშია, ჯერ კიდევ ვერ გარკვეულა, ვინ არიან აფხაზები.

ერთი შეხედულებით აფხაზები ეთნიკურად ქართველები არიან, შესაბამისად ქართველების ქართველებთან კონფლიქტი, მით უმეტეს ომი უსამართლოა, მეორენი ამბობენ, რომ აფხაზები მართალია, არ არიან ქართველები, მაგრამ აფხაზეთი მათი სამშობლო ქვეყანაა და შესაბამისად, მათი ქმედებანი თავდაცვითია, მესამენი ამბობენ, რომ აფხაზები სინამდვილეში არიან ჩრდილო კავკასიიდან აფხაზეთში არცთუ დიდი ხნის წინ ჩამოსახლებული უცხოელები, რომელთაც, ამჟამად უცხო ძალების დახმარებით მკვიდრი ქართველები გამოდევნეს აფხაზეთიდან, შესაბამისად, ძველი ისტორიული აფხაზები არიან არა ისინი, არამედ ქართველები. ვის დაუჯეროთ?! ესე იგი, ჩვენ არა გვაქვს ამ პრობლემის მიმართ ჩამოყალიბებული სიმართლე, მაშინ როცა მოწინააღმდეგისათვის ყველაფერი ნათელია. აფხაზები შეეცადნენ კიდევ მთელი მსოფლიოს წინაშე თავიანთი „სიმართლის“ წარმოჩენას, გარკვეულწილად შეძლეს ქართველთათვის სახელის გატეხა და მიიღეს კიდევ შესაბამისი წრეებისაგან დახმარება, განსაკუთრებით კი ჩრდილოკავკასიელებისა და კახაკების მხრიდან.

„ეგრე მტრისა არ მეშინის, რადგან ცხადად მაწყინარობს, მოყვარესა მტერსა ვუფრთხი, მემოყვრება, მოცინარობს“ – რუსთველის ამ სტროფით იწყებს დიდი ილია თავის „ქვათა ლაღადს“ და განაგრძობს სიტყვებით, რომელიც დღესაც მართებულია:

„ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელგატეხილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედამიწის ზურგზე. ვინც გნებავთ, ზედ გვაბოტებს ან გვქეღავს და მიწასთან გვასწორებს, ლამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი სხენება გააჩანავონ“.

„ქვათა ლაღადის“ დაწერიდან გავიდა ას წელზე მეტი. საბედნიეროდ, მტერმა ქართველთა სხენება ვერ გააჩანავა კავკასიის ქედს აქეთ, მაგრამ დაბეჯითებით უნდა ვთქვათ, ამჟამად სეპარატისტულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული ე.წ. „ქართიზაციის“, გაქართველების თეორია ქართველთა სხენებას აჩანავებს ლამის ლიხის ქედის იქით, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს დიდ ნაწილში. სეპარატისტი იდეოლოგიები მსოფლიოში ავრცელებენ მოსაზრებას, თითქოსდა რიონის ხეობა და მთელი დასავლეთი საქართველო აფხაზების უძველესი საცხოვრისია, რაც თითქოსდა ტოპონიმიკითაც დასტურდება და ქუთაისიც ამიტომ იყო აფხაზთა სამეფოს დედაქალაქი, აფხაზთა ამ ქვეყანაში ქართველებმა (ე.წ. ქართველმა) მხოლოდ VIII-X საუკუნეებში შემოაღწიეს, გაბატონდნენ იქ, თავიანთი ენა თავს მოახვიეს აფხაზთა ეკლესიას, საბოლოოდ კი ეთნიკური აფხაზები იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ თავიანთი სამშობლო (ე.ი. დასავლეთი საქართველო) და მთიანი რეგიონისათვის შეეფარებინათ თავი ენგურსა და კოდორს იქით, ახლა კი XX საუკუნეში მათ ქართველები აქედანაც გაძევებას უპირებენ. სამწუხაროდ, ეს არის ისტორიოგრაფიაში საკმაოდ გავრცელებული თვალსაზრისი, რომელმაც ჰპოვა კიდევაც შესაბამისი

ასახვა საგანგებო ლიტერატურაში. მაგალითად, მოსკოვში ახლახანს დასტამბული „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“-ს I ტომში აფხაზეთის მიმართ გამოთქმულია იგივე თვალსაზრისი – რომ თითქოსდა არაბთა მპყრობელობის დროს (იგულისხმება VIII-X საუკუნეები) ქართლის მოსახლეობა მასიურად გადასახლდა დასავლეთ საქართველოში და იქ კულტურისა და საეკლესიო სფეროში თანდათან შეიტანა ქართული ენა, რომელიც აქ გადაიქცა ღვთისმსახურებისა და აგიოგრაფიის ენად. შესაბამისი ტექსტი ასეთია: «Араб. завоевание Картли, территория к-рой входила в юрисдикцию Мцхетского Католикосата, вызвало массовую миграцию картлийского населения в Зап. Грузию, принесшую постепенное проникновение в культурные и церковные сферы Зап. Грузии восточногруз. (картлийского) языка, ставшего здесь языком богословия и агиографии» (Православная энциклопедия, т. I. М. 2000, с. 68).

რუსულ უახლოეს ენციკლოპედიაში გამოთქმული ამ მოსაზრების თანახმად, ქართული ენა მიიჩნევა არა საერთო ქართული ეთნოსის ენად, არამედ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის ენად (იგულისხმება ე.წ. ქართის ტომი), რომელიც თითქოსდა არაბობის დროს მასობრივად გადასახლებულა (მიგრირებულა) დასავლეთ საქართველოში და იქ საეკლესიო და კულტურის სფეროში შეუტანია თავისი სატომო ენა, რომელიც აქ უკვე საეკლესიო ენად გადაქცეულა. ესაა გამოძახილი ცნობილი ქართიზაციის თეორიისა, რომლის მიხედვითაც VIII-X საუკუნეებში მოხდა დასავლეთ საქართველოს ე.წ. ქართიზაცია, და ამით დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ქართველი ხალხის ოჯახში შემოსვლა, მათ მიერ ქართული ენის შეთვისება, ამავე საუკუნეებში თითქოსდა მიმდინარეობდა სამხრეთ საქართველოს მკვიდრი ქალკედონიტი სომხების გაქართველება და იქვე მცხოვრები სხვა ტომების ქართიზაცია, ასევე მიიჩნევა, რომ თითქოსდა თვით აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ნაწილშიც ანტიკურ ხანაში ცხოვრობდა ჰერულ-ალბანური და ჩეჩნურ-დაღესტნური მკვიდრი მოსახლეობა და თითქოსდა ქართველმა ამავე ეპოქაში მოახდინეს ამ ტომების ქართიზაცია და შესაბამისად ამ მოსახლეობის ქართველი ხალხის ოჯახში შემოსვლა. აი, ასე თანდათან ჩამოყალიბდა ერთიანი ქართველი ხალხი, მაგრამ მისი ჩამოყალიბების უფრო სავარაუდო პერიოდად მიიჩნევენ VI-XI საუკუნეებს. ეს არის ქართველი ხალხის ჩამოყალიბების შესახებ ერთ-ერთი თეორია, ჩვენ მას შეიძლება ვუწოდოთ საბჭოთა თეორია, რადგანაც სწორედ საბჭოთა ეპოქაში გაბატონდა კიდევ ეს თეორია იტორიოგრაფიაში. ჩვენი ხალხის ჩამოყალიბების შესახებ სულ სხვა თვალსაზრისი იყო ძველ ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელსაც ქვემოთ შევხვებით.

რუსეთში გამარჯვებისთანავე ბოლშევიკ-კომუნისტებმა თავდაპირველად ისტორია როგორც მეცნიერება აკრძალეს, მაგრამ მალევე გადაწყვიტეს ის თავის სამსახურში ჩაეყენებინათ, შექმნეს ახალი ე.წ. მარქსისტულ-ლენინური ანუ საბჭოთა ისტორიოგრაფია. მისი საბოლოო მიზანი იყო ისეთივე, როგორც მეფეთა დროინდელი რუსეთის ხელისუფლებისა – პატარა ერების ისტორიათა გაყალბება მათი სწრაფი ასიმილაცია-გარუსების მიზნით, მაგრამ საბჭოური ისტორიოგრაფია ინიღბებოდა ე.წ. მარქსიზმ-ლენინიზმით, რომელიც კაცობრიობის გაბედნიერებას ისახავდა მიზნად. ჩვენი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის თანახმად, „ისტორიის მატერიალისტური გაგება მეცნიერული ჰიპოთეზიდან გადაიქცა მკაცრ მეცნიერულ თეორიად“ (ქსმ, 5, სტატია „ისტორიოგრაფია“, გვ. 243) და „გაბატონებულ ბურჟუაზიასთან ბრძოლაში განვითარდა მარქსისტული მიმართულება ისტორიოგრაფიაში“ (ქსმ 5, 243).

ვინ იყვნენ საქართველოში „გაბატონებული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის“ წარმომადგენლები, რომლებთანაც ბრძოლაში „განვითარდა მარქსისტული ისტორიოგრაფია“? ეს იყო დიდი ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი – დიდი ქართველი ისტორიკოსები, აკაკი წერეთელი, დიმიტრი ბაქრაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვანი, რომელთაც „ისტორიკოსის“ ტიტული ცხადია ჩამოართვეს საბჭოთა ეპოქაში, ხოლო სანაცვლოდ თუ როგორ მიანიჭეს „მარქსისტ-ბოლშევიკის“ საპატიო წოდება და შეიყვანეს საბჭოთა ხელისუფლების შემადგენლობაში (ВЦИК) „ქართიზაციის“ ფუძემდებელი, მეცნიერი, რომელსაც ილია ებრძოდა, ამას ქვემოთ შევხვებით.

1917 წლის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ „შეიქმნა პირობები იმისათვის, რომ მარქსისტული მიმდინარეობა ისტორიოგრაფიაში ისტორიული მეცნიერების ძირითადი მიმართულება გამოხდარიყო მთელ საბჭოთა კავშირში. საბჭოთა ისტორიული მეცნიერება ყალიბდებოდა ბურჟუაზიულ-მემამულური და მენშევიკური ისტორიული კონცეფციების... ისტორიის სხვა დამძახინჯებელთა წინააღმდეგ მიმართულ მძაფრ იდეურ ბრძოლაში“ (ქსმ, 5, გვ. 243).

ასევე ჩამოყალიბდა ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიაც, რომელიც გააფორმებით ებრძოდა „რეაქციულსა და იდეალისტურ“ მამაკაპულ ისტორიოგრაფიას მარქსისტული პოზიციებიდან“ (იქვე, 244), რათა არ მომხდარიყო „თავისი ქვეყნის როლის გაზვიადება მსოფლიო ისტორიაში“ (იქვე, გვ. 244) დრომოჭმულ ისტორიულ წარმოდგენათა დაძლევის პროცესისას“ (იქვე, გვ. 244). კომუნისტებმა ისტორიოგრაფიასთან ერთად ლინგვისტიკაც თავისი იდეოლოგიის საჭიროებისათვის გამოიყენეს. ყველასათვის ნათელია და ძნელი დასაჯერებელია, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიის უმთავრესი თეორიები და დოკუმები სასარგებლო იყო საქართველოსათვის. კერძოდ, ქართველი ხალხის ჩამოყალიბების პრობლემასთან დაკავშირებით საბჭოთა ისტორიოგრაფიამ იმუშავა რამდენიმე ათეული წელი და თავის უმთავრეს მონაპოვრად გამოაცხადა ქართიზაციის თეორიის შექმნისათვის ნაყოფიერი შემდეგი დოკმა: –

„მკვლევართა თვალწინ გადაიშალა კულტურული განვითარების უწყვეტი ჯაჭვი, რაც ლინგვისტური კვლევა-ძიების მონაცემებთან ერთად უარყოფს ადრე გავრცელებულ მოსაზრებებს კავკასიის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ერთიანი შეცვლის შესახებ და ქართვ. და სხვა კავკასიური ტომების უძველეს სამშობლოდ კავკასიის მიწა-წყალს გვაგარაუდებინებს“ (იქვე, გვ. 245).

კიდევ ერთხელ უნდა ვთქვათ, რომ კომუნისტმა იდეოლოგებმა თავიანთთვის სასარგებლოდ მიიჩნიეს უარეყოთ ძველქართულ მატრიანებსა და საისტორიო ძეგლებში გადმოცემული კონცეფცია ჩვენი ეროვნული ფესვების შესახებ, რომ საქართველო (როგორც დასავლეთი, ისე აღმოსავლეთი ნაწილი) უძველესი ხანიდანვე მხოლოდ ქართული მოსახლეობით იყო დასახლებული და რომ ამ არეალზე ქართველთა გამოჩენის შემდეგ სხვა უცხო ტომები არ ცხოვრობდნენ. ზემოთ აღნიშნული საბჭოთა თეორია სინამდვილეში მიმართული არის უძველეს ქართულ წყაროებში გადმოცემული მოსაზრებების წინააღმდეგ.

ყოველ ძველ ერს, რომელიც ბიბლიური ხანიდან ჩნდება ისტორიის ასპარეზზე, თავის უძველეს თავდაპირველ სამშობლოდ შუამდინარეთი და მასთან მიმდებარე ქვეყნები მიაჩნია, სადაც დაირწა აკვანი კაცობრიობისა. ასეთივე იყო ძველქართული თვალსაზრისი საქართველოში სადაც სამხრეთიდან ქართველთა გადმოსახლების თუ ქართული პოლიტიკური ცენტრების გადმოტანის შესახებ სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. მათ აქ ქრისტეშობამდე IV–III საუკუნეებში შეუქმნიათ ერთიანი სახელმწიფო ქართლის სამეფო, რომლის დასავლეთ საზღვარს წარმოადგენდა შავი ზღვა და მდინარე ეგრისწყალი (ახლანდელ აფხაზეთში), ხოლო აღმოსავლეთით ამ სახელმწიფოს საზღვარი აღწევდა ალბანეთ-სომხეთამდე. ამ ქვეყნის მოსახლეობა იყო ერთი ხალხი, ეგრისელები, მარგველები, დასავლეთ საქართველოს სხვა ჯგუფები, აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობასთან ერთად ერთი ენის მქონე ხალხს წარმოადგენდა, რომელმაც შექმნა კიდევ ეს სახელმწიფო. „მოქცევაი ქართლისაის“ ამ თვალსაზრისზე დაყრდნობით XII საუკუნის მოღვაწე არსენ ბერი წერდა: „ჩვენ შვილნი ვართ მათ არიან ქართლით გამოსულთანი და ენაი მათი ვუწყით“ (ძეგლ. ტ. III, გვ. 47) ანუ არსენ ბერი გადმოსცემდა ძველ ქართულ თვალსაზრისს, რომ ეთნოსი, მცხოვრები შავი ზღვიდან ვიდრე სომხეთ-ალბანეთამდე, ერთგვაროვანი იყო და ამ ხალხის დედა ენა იყო ქართული ენა, თუმცა ალბათ დიალექტები იმჟამადაც არსებობდა, მაგრამ ცხადია, ამ 2400–2300 წლის წინ ეს დიალექტები გაცილებით უფრო ახლოს იდგნენ ერთმანეთთან და, მაშასადამე, ფუძე ქართულ, ანუ სახელმწიფო ენასთან. ამიტომაც შეძლო კიდევ ამ ენის გავრცობა ფარნავაზმა იმჟამინდელ ქართლის სამეფოში ანუ „ყოველ ქართლში“, რომელიც ფაქტიურად ემთხვეოდა დღევანდელი საქართველოს მიწა-წყალს და მასში აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად დასავლეთ საქართველოც შედიოდა. „განავრცო ენა ქართული და არლარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“ („ქართლის ცხოვრება“, გვ. 26). „ქართლის ცხოვრება“ დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ფარნავაზის სახელმწიფოში ეგრისი, სვანეთი და არგვეთი საერისთავოებს წარმოადგენდნენ სხვა საერისთავოებთან ერთად. მაშასადამე, მთელი ამ არეალის მოსახლეობის სახელმწიფო და კულტურის ენას ქართული ენა წარმოადგენდა. ძველქართული თეორიით ქართული ენა დასავლეთ საქართველოში გავრცელდა არა VIII–X საუკუნეებში, როგორც მიიჩნევის ზოგიერთი საბჭოთა თეორეტიკოსი, არამედ თავდაპირველადვე წარმოადგენდა სახელმწიფო ენას. ამ საკითხს ქვემოთ უფრო გამოწვლილვით ვეხებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მატრიანებში გამოთქმული კონცეფციის თანახმად, პირველი ქართული სახელმწიფოს დროისათვის მთელი საქართველოს ტერიტორია გაწმენდილი იყო იქ ადრე მცხოვრები ძალზე მცირერიცხოვანი უცხოტომელებისაგან. ზემოთ აღნიშნული საბჭოური თეორიით კი საქართველოში ქართველებთან ერთად არაქართველი კავკასიური ტომებიც ცხოვრობდნენ, რომელთა ქართიზაცია ანუ გაქართველება თითქოსდა ხდებოდა ვიდრე X საუკუნემდე.

ეგრისი, სვანეთი და არგვეთი (შემდეგდროინდელი იმერეთი) ფარნავაზ მეფის სამეფოში შედიოდა საერისთავოთა სახით: ფარნავაზმა „მისცა ქუჯის ქუეყანა – ეგრისწყალსა და რიონს შუა ... რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ“ (იქვე, გვ. 24). „ფარნავაზ მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა“ (იქვე, გვ. 24). იგულისხმება ეგრისსა, სვანეთსა და არგვეთში ქართული ენა – ფარნავაზის დროიდანვე იყო გავრცელებული, ფარნავაზი ვერავითარი იძულებით შეძლებდა აქ ქართული ენის გავრცელებას, ეს ენა რომ არ ყოფილიყო აქ მოსახლეობის მშობლიური, დედა ენა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მემკვიდრის და საერთოდ ძველი ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით იმ ეპოქაში, ანუ ქრისტეშობამდე 400-300 წლით ადრე ე.წ. ქართველ-ჭანებს შორის ენობრივი განსხვავება მხოლოდ დიალექტურ დონეზე არსებობდა, ანუ ფუძე ქართული ენა ჯერ სუსტად იყო დიფერენცირებული. იმხანად ე.წ. ქართველთა და ეგრისელების კილოები ჯერ კიდევ არ იყვნენ ენებად გადაქცეულნი და ერთმანეთის მიმართ დიალექტებს წარმოადგენდნენ, არსებობდა ზანურ-ქართული ენობრივი ერთობა – ჯერ კიდევ საერთო, სახალხო, საზოგადო ენა. იგი წარმოადგენდა ქართლის სამეფოს ყველა კუთხის ენას და მას უწოდებს მემკვიდრე – ქართულ ენას.

ამავე თვალსაზრისს უფრო დაბეჯითებით ავითარებს XII ს-ის ცნობილი ისტორიკოსი არსენ ბერი, რომელსაც ზემოთ შევეხეთ. ახლა კი განვავრცოთ ჩვენ მემკვიდრეთა მტკიცებათა ციტირება, რომ დასავლეთი საქართველო უწყვეტად შედიოდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს – „ქართლის სამეფოს“ შემადგენლობაში: დადგა მოციქულთა ეპოქა, ქრისტეშობის შემდეგ I საუკუნეა, მოციქულებმა, კერძოდ კი წმიდა ანდრია პირველწოდებულმა მოწაფეებითურთ იქადაგა კლარჯეთსა და დასავლეთ საქართველოში (ეგრისში), ამის შედეგად მკვიდრმა მოსახლეობამ მიატოვა ძველი რჯული, მემკვიდრე წერს: „ვითარცა ესმა მეფესა ადერკის მეგრელთაგან რჯულისა დატევა, განუწყრა და წარავლინა ერისთავნი მისნი და იძულებით კუალადვე მოაქცივნა მეგრელნი და დამალნეს ხატნი და ჯუარნი და შერისხა მეფე ადერკიმ ერისთავი კლარჯეთისა მშვილობით განტევისათვის მოციქულისა“ (ქ.ც. I. გვ. 42).

ცხადია, ქართლის მეფე უცხო ერისთავებს ვერ დასჯიდა, სამხრეთ და დასავლეთ საქართველო იმჟამინდელი საქართველოს ძირითადი ნაწილებია.

I-II საუკუნეების იბერიის სამეფოს სიდიადეს აღწერენ იმჟამინდელი ბერძენი და ლათინი ისტორიკოსები – ტაციტუსი, დიონ კასიუსი და სხვანი, იბერია კავკასიის მასშტაბით უძლიერეს სახელმწიფოდ გადაიქცა, ალბანეთი მისი გავლენის სფეროში შედის, სომხეთი – ფაქტიურად იბერიის სახელმწიფოს ნაწილადაც კი იქცა – სომხეთის სამეფო ტახტზე მეფეებად იბერიელ უფლისწულებს სვამენ, ზოგჯერ სომხეთის ტახტზე თვით ქართლის მეფე ადის. რომის იმპერატორები იბერიელი მეფეების გულის მოგებას ცდილობენ, ფარსმან II იმპერატორმა აღრიანემ სტუმრად მიიწვია რომში, მაგრამ ქართველთა მეფემ ქედმაღლურად უარი განაცხადა და რომში არ ჩავიდა, მომდევნო იმპერატორს კი ფარსმან II-მ პატივი სცა და მეუღლითა და დიდი ამალით რომში გაემგზავრა, სადაც მას საზეიმო შეხვედრა მოუწყეს, იმპერატორს კიდევ უფრო გაუფართოვებია მისი სამეფოს საზღვრები, შედიოდა თუ არა მის სამეფოში დასავლეთი საქართველო, ჩვენი მემკვიდრის თანახმად შედიოდა: ფარსმან II-ის ძეს ამასასს განუდგნენ კლარჯეთის და ეგრისის ერისთავები, სპეციალური ტერმინითაც კი მოიხსენიებდნენ მათ – „დასავლეთის ერისთავები“. „განდგეს ერისთავნი დასავლეთისანი ზუთნი ორნი ერისთავნი ეგრისისანი, ერთი ოძრახისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდის“ (ქ.ც. I. გვ. 57), თუმცა მალე მეფეს ისინი შემოურიგებია. ფარსმან II-ის სამეფოში რომ შედიოდა დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც, ამის შესახებ ცნობილი ლათინი ისტორიკოსი არიანეც წერს, რომელიც 131 წელს მოგზაურობდა შავი ზღვის პირას. შესაბამისად, ქართული ენა – დასავლეთ საქართველოში ფარნავაზის და მოციქულების დროიდანვე იყო გავრცელებული, წმიდა ნინოს დროსაც დასავლეთ საქართველო ქართლის სამეფოში შედის – მეფე მირიანი მეფობდა – „ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს, მოვაკანს და ეგრს“ (ქ.ც. I. გვ. 65), „აქვნდა ეგრისიკა, ვიდრე ეგრისწყლამდე“ (ქ.ც. I. გვ. 70). ამიტომაც წერს კიდევ დაბეჯითებით რუის-ურბნისის კრება, რომ წმიდა ნინო არის არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის განმანათლებელი და წერს თავის ძეგლისწერაში, რომელიც ეკლესიისათვის სახელმძღვანელო ჭეშმარიტებას წარმოადგენდა: წმიდა ნინომ „სარწმუნოებისა მიმართ თვისისა მიიზიდა ყოველი საცსება ყოველისა ქართველთა ნათესავისა“ (დიდი სჯულის კანონი, 1975, გვ. 546); ასევე, რუის-ურბნისის კრების განსაზღვრებით, უფრო ადრე, ანდრია პირველწოდებულმა განანათლა არა მხოლოდ დასავლეთი საქართველო, არამედ აღმოსავლეთიც. „პირველწოდებული ანდრია, ძმაი თავისა მოციქულთაისა პეტრესი ვიდრე ჩუენამდე მოიწია და ქადაგა ქადაგებაი სახარებისაი ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა“ (იქვე, გვ. 545); მაშასადამე, ანდრიამ „ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა“ იქადაგა, როგორ? საქმე ისაა, რომ ამ კრების თანახმად ქვეყანა მთლიანი, ერთიანი იყო, ერთი ხალხით დასახლებული, ამიტომაც წმ. მოციქულის დასავლეთ

საქართველოში ქადაგება – უკვე მთელ საქართველოში, მთელ ქვეყანაში ქადაგებას გულისხმობდა და ასევე, რადგანაც წმიდა ნინოს დროს ქვეყანა, ერი, ერთიანი იყო, წმიდა ნინოც „ყოველთა ქართველთა განმანათლებელია“, სადაც არ უნდა ექადაგა მას, ამ ქვეყნის შიგნით. ამიტომაც წერს მემპტიანე – რომ წმიდა ნინოს და წმიდა მირიანის ხელქვეშ (ხელსა ქუეშე მათსა) – „ნათელს იღებდა ყოველი ქართლი“ (ქ.ც. I. გვ. 115); ყოველი ქართლი – ეს ეგრისი, არგვეთი, სვანეთი და დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებია აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად. მირიანის მემკვიდრის ვარაზ ბაქარის დროსაც ეგრისი – ყოველი ქართლის ნაწილია, მას შემდეგ რაც, მას ბერძნებმა კლარჯეთი წაართვეს „დარჩა ვარაზ ბაქარს თვინიერ კლარჯეთისა ჰერეთი და ეგრისი“ (იქვე, გვ. 137); ვახტანგ გორგასლის სიყრმის დროს ბერძნებმა მიიტაცეს „ყოველი ქართლის“ ნაწილი დასავლეთ საქართველოში მდინარე ეგრისწყლიდან ვიდრე ციხე-გოჯამდე – „გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრისწყალს ქუემოთი ყოველი და დაიპყრეს ბერძენთა ეგრისწყლიდან ციხე-გოჯამდე, მაშინ იქმნა გლოვა და წუხილი ყოველთა ქართველთა ზედა“ (ქ.ც. I. გვ. 146); იმ ჟამის დევიზი ყოფილა „კვებნეთ საზღვარი ქართლისა ბერძენთაგან“ (ქ.ც. I. გვ. 146) – ანუ საზღვარი ეგრისწყალზე. მემპტიანისათვის ეგრისელები – ქართველებია და ისინი წუხან თავიანთი ქვეყნის ნაწილის დაპყრობას. შემდგომ ვახტანგ გორგასალი გაძლიერდა, ცოლად მოიყვანა ბერძენთა იმპერატორის ქალი, რომელსაც მამამ მზითვად გამოატანა ტერიტორია მდ. ეგრისწყლიდან მდ. კლისურამდე, ეს ტერიტორია შეემატა „ყოველ ქართლის სამეფოს (იქვე, გვ. 177). დაჩი მეფის სამეფოს საზღვარი მდ. კლისურაზე გადის (იქვე, გვ. 205). ქართლის სამეფოს საზღვარმა ეგრისწყლიდან კლისურაზე გადაინაცვლა. VII ს. 20-იანი წლებიდან ბერძნებმა კვლავ შებღალეს ქართლის სამეფოს საზღვარი ზღვის პირზე – მათ, კერძოდ კი ჰერაკლე კეისარმა მიიტაცა ქართლის სამეფოს ზღვისპირა ნაწილი – „მაშინ წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა, სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღვისპირა“ (ქ.ც. I, გვ. 226). ამ დროს ჰერაკლე კეისარს მიუტაცნია ზღვისპირა ტერიტორია მდ. კლისურიდან – კლარჯეთის ბოლომდე, ქვეყნის დანარჩენი ტერიტორია – „სხვა ყოველი ქართლი დაიპყრა ადარნასე ბაკურის ძემან“ (იქვე, გვ. 226). მაგრამ ჩვენი წყაროს თანახმად, ყოველი ქართლის ტერიტორია მდინარე კლისურამდე ბიზანტიის იმპერატორმა არაბთა შემოსევების შემდეგ უკანვე დაუბრუნა ქართლის მეფეებს. ამის შესახებ საგანგებო ბრძანება გაუგზავნა იმჟამად იმპერიის საზღვრებში შემავალ აფხაზეთის ერისთავს: „ყოველადვე საზღვართა ქართლისათა ჩვენგან ქმნილ არს ვნება... არამედ კეთილად პატივს ცემდი მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა და ამიერითგან ნურღარა ხელმეწიფების ვნებათა მათდა და საზღვართა მათთა ეგრისათა“. მამასადამე, ბიზანტიის იმპერატორის ბრძანება აფხაზთა ერისთავის მიმართ ასეთია: პატივი ვცეთ და ნულარ დავარღვევთ ქართლის სამეფოს საზღვრებს ეგრისში, მდინარე კლისურაზე.

იმჟამად აფხაზეთი ერქვა ტერიტორიას მდინარე კლისურიდან მდინარე ყუბანამდე („მცირე ხაზარეთის“ მდინარემდე) და იგი შედიოდა იმპერიაში. ხოლო დასავლეთ საქართველოს სხვა დანარჩენი უმეტესი ნაწილი – „ეგრისი, სუანეთი, თაკურეი, არგუეთი და გურია“ შედიოდა ქართლის სამეფოს შემადგენლობაში. ამიტომაც მეფე სტეფანოზმა და მისმა შვილებმა მირმა და არჩილმა მურვან ყრუს დროს თავი შეაფარეს თავისი ქვეყნის ამ შედარებით დაცულ ნაწილს. მაგრამ მურვან ყრუც გადავიდა დასავლეთ საქართველოში და დაამარცხა ქართველი მეფეები, ლტოლვილებმა თავი შეაფარეს ბიზანტიის იმპერიას, კერძოდ, გადალახეს ქართლის სასაზღვრო მდინარე კლისურა და შევიდნენ აფხაზეთში, ბიზანტიის ხელღებულ ქვეყანაში – „მეფენი წარვიდეს ეგრისად და მუნით კუალად მიიციკალნეს აფხაზეთად. (მურვანი) შეუდგა კვალსა მათსა ... შევლო ზღუდე იგი საზღვარი კლისურისა, რომელი იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა და შემეუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი და მოადგა ციხესა ანაკოფიისასა. მუნ შინა იყვნეს მაშინ მეფენი ქართლისანი მირ და არჩილ“ (ქ.ც. I. გვ. 256).

საბედნიეროდ, ღვთის შეწევნით, არაბთა ჯარი დამარცხდა და დასავლეთ საქართველო არაბებმა მიატოვეს. აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისში მათ მკვიდრად დაიდეს ბინა, ამიტომაც ქართველმა მეფეებმა სტეფანოზმა, მირმა და არჩილმა VII ს-ის ბოლოსა და VIII საუკუნეში გადაწყვიტეს თავისი სამეფოს დასავლეთ ნაწილში ქუთაისში გადმოეტანათ დედაქალაქი. ციხე-გოჯიცი ერთ-ერთ სატახტოდ იყო მოაზრებული. ამის ნიშნად სტეფანოზის გარდაცვალების შემდეგ მეფე მირი უბრძანებს თავის ძმას, არჩილს, რომ მეფე სტეფანოზის ნემსი დაკრძალოს ქუთაისში – „რათა იპოვოს იგი (ე.ი. ქ. ქუთაისი) საწამებელად სამკვიდროსა ჩვენისა“ (ქ.ც. I. გვ. 241). ამავე მოსაზრებით ბრძანებს შემდგომ მეფე არჩილი „უწყიეს შენება ადგილთა ჩვენთა კლისურითგან აღმართ და დავეშენები ციხე-გოჯსა და ქუთაისს“ (ქ.ც. I. გვ. 242). შესაბამისად, ქართლის სამეფოს ახალ ცენტრებში, ციხე-გოჯსა და ქუთაისში დაასვენეს ქართველ მეფეთა სამეფო ნიშნები, მეფე ვახტანგ გორგასლისა და მეფე მირიანის სამეფო გვირგვინები (იქვე, გვ. 255). როგორც ცნობილი არის, არაბებმა მოსპვეს ვახტანგ გორგასლის შთამომავალთა ძველი სამეფო დინასტია, აწამეს წმიდა მეფე არჩილი, ქართლის მეფე მირს კი ძე, ვაჟიშვილი არ ჰყავდა. ამიტომაც მან გადაწყვიტა თავისი ქალიშვილები მიეთხოვებინა ქართლის ერისთავებისათვის და

მათთვის გადაეცა სამეფო უფლებები. მემატიანის მიხედვით სიძეებმა მიიღეს სამეფო მემკვიდრეობა და იწოდნენ მეფის ძეებად და ძმებად. ამ ქართლის ერისთავთა რიცხვს შეუერთდა აფხაზთა ერისთავი ლეონ I, მან შეერთო მირ მეფის ქალიშვილი გურანდუხტი, ამით ის იწოდა ქართლის მეფეთა ძედ და ძმად გურანდუხტისაგან კი მიიღო იქამდე ქართლის მეფეთა სამემკვიდრეო მიწა-წყალი, „ეგრისი, სვანეთი, თაკვერი, არგვეთი და გურია“. ლეონსვე, ვითარცა ქართლის მეფეთა ლეგიტიმიურ მემკვიდრეს, გურანდუხტის ქმარს, გადაეცა სიმამრის, მირ ქართლის მეფის სამეფო გვირგვინი. ასე ჩამოყალიბდა აფხაზთა სამეფო ვითარცა ქართლის სამეფოს ლეგიტიმიური სამემკვიდრეო და შეიქმნა ახალი სახელმწიფოებრივი ერთეული, რომელიც წარმოადგენდა გაგრძელებას დასავლეთ საქართველოში ქართლის სამეფო მემკვიდრეობისა. ამიტომაც ცხადია, აქ ბუნებრივად სახელმწიფო ენა იყო ქართული ენა და ცხადია, ასევე კულტურისა და ღვთისმსახურების ენასაც ქართული ენა წარმოადგენდა. ეთნიკურად დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა იყო ერთი ხალხი ერთი სახელმწიფო ენითა და ერთი კულტურის ენით. აფხაზთა სამეფოს აღნიშნული შინაგანი თვისებების გამო უმაღლვე აფხაზთა მეფეებმა ზედიზედ გააუქმეს ბერძნულენოვანი საეპისკოპოსოები დასავლეთ საქართველოში და მათ ნაცვლად კი აღადგინეს იქ ქართულენოვანი ღვთისმსახურება.

როგორც ვხედავთ, ქართული წყაროების დაბეჯითებული მტკიცებით დასავლეთი საქართველო მეფე ფარნავაზის დროიდან აფხაზთა სამეფოს წარმოქმნამდე ქართლის სამეფოს უცილობელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, იქ მცხოვრებ მოსახლეობას ბიზანტიის იმპერატორი ქართული წყაროების თანახმად, „ქართლის ერს“ უწოდებს (ქ.ც. I, გვ. 226), ხოლო ამ სამეფოს საზღვარს მდ. ეგრისწყალსა და კლისურაზე – უწოდებს „ქართლის საზღვარს ეგრისში“ (იქვე, გვ. 226). ქართლს უცხოელები იბერიას უწოდებდნენ, ამიტომაც უცხოურ წყაროთა მტკიცებით დასავლეთ საქართველოს – „ქვემო იბერია“ ეწოდებოდა ძველთაგანვე (აღმოსავლეთ საქართველოს კი „ზემო იბერია“).

ეთნიკური თვალსაზრისით დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაც ერთი ეთნოსია, ერთი ხალხია, ჯერ კიდევ ჰეკატოს მილეტელმა, ქრისტეშობამდე 600 წლით ადრე მიაქცია იმ მოვლენას ყურადღება, რომ მისი დროის კოლხები და არანაკლებ სახელოვანი „მოსხები“ ერთი ეთნოსი, ერთი ტომი, მამასადამე, ერთი ენის მატარებელი მოსახლეობა იყო – „მოსხებს ძვ.წ. VI ს. ბერძენი ავტორი ჰეკატოს მილეტელი „კოლხურ ტომს“ ეძახის“ (ნარკვ. I, გვ. 395).

თუ კი ქრისტეშობამდე 600 წლით ადრე კოლხები და მოსხები ერთი ტომი, მამასადამე, ერთი ენის მატარებელი ხალხი იყო, მით უმეტეს უფრო ადრე ძველი კოლხეთის სამეფოს ძლიერების დროს, კიმერიელების შემოსევამდე, ე.ი. ძვ.წ. XI-VIII სს-ში კოლხური კულტურა ცხადია – ერთიანი ქართული კულტურა იყო და არა რომელიმე ცალკე ქართული ტომის კულტურა. გიორგი მელიქიშვილი ხაზგასმით მიუთითებდა ამის შესახებ თავის ნაშრომებში – „ამ დროს ქართველსა და მეგრულ-ჭანებს შორის ენობრივი განსხვავება თითქმის არ იყო, მხოლოდ სვანური რამდენადმე დამორბეული იყო საერთო ქართველურს, თუმცა „კოლხური კულტურა“ და ძველი კოლხეთის სამეფო მათაც მოიცავდა (ნარკვ. I, გვ. 389). შესაბამისად ასკვნიდა კიდევ მეცნიერი – ამიტომაც მოსხების „კოლხურ ტომად“ მოხსენება ჰეკატოს მილეტელთან, საერთოდ მათ ქართველობაზე მიუთითებს და მეგრულ-ჭანურ წარმომავლობაზე არაფერს ლაპარაკობს“ (იქვე, გვ. 395). კოლხური კულტურის მატარებელი ხალხის ენას გ. მელიქიშვილი ქართი-ზანურს უწოდებს ანუ ესაა „ფუძე ენასთან“ ახლოს მდგომი საერთო ქართული ენა, რომელიც საერთო ენა იყო როგორც მოსხებისათვის (ე.წ. ქართველთათვის), ასევე იმჟამინდელი ზანებისათვისაც. როგორც ჩანს, აკად. გ. მელიქიშვილის ამ მოსაზრებას არ იზიარებს ზოგიერთი ახალი ისტორიკოსი, მაგალითად, ახლახან გამოცემულ წიგნში: „კოლხეთის სახელმწიფოს შემქმნელები იყვნენ დასავლურ ქართული კულტურის მატარებელი ზანური (მეგრულ-ჭანური) ტომები. რაც შეეხება იბერიას (ქართლს), აღმოსავლურ ქართულმა ტომებმა იბერებმა (ქართვებმა) შექმნეს ძვ.წ. VI-III სს. მიჯნაზე“ (რ. თოფჩიშვილი, „ქართველთა ეთნიკური ისტორია, 2002, გვ. 5).

ჩვენ, ცხადია, ვეთანხმებით ჰეკატოს მილეტელსა და სხვა ავტორების გამოწვლილვითი ანალიზის შედეგად მიღებულ გ. მელიქიშვილის დასკვნას, მით უფრო, რომ მთელი ძველი ქართული ისტორიოგრაფია იმასვე ამტკიცებს, რომ უძველესი დროიდან დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ერთი ეთნოსი, ერთი ხალხი, ერთი ენის მქონე ეთნოსი იყო. მისი ენა არის სწორედ ის ენა, რომელსაც, როგორც ითქვა, ძველ საქართველოში „ქართულს“ უწოდებდნენ. ჰეკატოს მილეტელიდან სულ ორი-სამი საუკუნით დამორბეული ამბების აღწერისას ჩვენი

მემატიანეც ამავე თვალსაზრისს ავითარებს, რომ ქრისტეშობამდე 400-300 წლით ადრე პირველი ერთიანი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მომცველი ერთიანი ქართლის ანუ საქართველოს სახელმწიფოს ერის ენა არის ქართული ენა და ამ ენის გარდა ამ სამეფოში სხვა ენები არ „იზრახებიან“. ეს ენა ფარნავაზმა გამოაცხადა კიდევ სახელმწიფო ენად.

კოლხები და მოსხები (ე.წ. ქართველები) რომ ერთი ხალხია, ეს სხვა ძველ ავტორთა მასალიდან და ასევე ტოპონიმიკიდანაც ჩანს. ამიტომაცაა, რომ დასავლეთ საქართველოში ზანებთან ერთად მესხური და სვანური ტომები ცხოვრობენ, ერთ ტერიტორიაზე და ისინი არა მარტო მთიან, არამედ ბარის ტერიტორიაზეც ჩანან გავრცელებულნი. ლანჩხუთი, ფოთი და სოხუმი სვანური ტოპონიმებია ს. ჯანაშიას მიხედვით (ნარკ. I. გვ. 341). მესხები და მეგრელ-ჭანები ერთი ენის მატარებელი ტომი რომ იყო ერთ დროს, ეს იმით ჩანს, რომ ე.წ. „ზანიზმები“ (ზანური ტოპონიმები) უამრავია მესხეთსა და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოში, რაც უნდა მივიჩნიოთ ე.წ. ქართი-ზანური ჯერ კიდევ არადიფერენცირებული ენის ტოპონიმურ ნაშთად და არა მტკიცე ზანიზმად. მეორე მხრივ, ძველი ავტორების დაბეჯითებული მტკიცებით, იბერები შავი ზღვის პირას მოსახლეობენ, პლინიუსის მიხედვით, აი, აქ, შავი ზღვის პირას, „მთებს იქით არის იბერია“, არიანეს მიხედვით კი შავიზღვისპირა ზოლზე დასახლებული არის ძიდრიტების იბერთა მეფის ქვეშევრდომი ტომი. პროკოფი კესარიელის მიხედვით, დასავლეთ საქართველოში დასახლებული არიან ძველთაგანვე იბერთა ქვეშევრდომი მესხები. თავის მხრივ სტრაბონს „კოლხეთის აღწერილობაში ნათქვამი აქვს, რომ აქ „მოსხების ქვეყანაში მდებარეობს ლევკოთიას სამლოცველო, ფრიქსეს მიერ აგებული მისი სამისნო“ (ნარკ. I. გვ. 584), ფრიქსე კი, როგორც ცნობილი არის, კოლხეთში დაეშვა და აქვე იყო ლევკოთიას ტაძარი, ეს კი მოსხების ქვეყანა ყოფილა. ტოპონიმი „მესხეთი“ „ახლაც კი არის ამ რეგიონში, ახლოს აღმოჩნდა კიდევ ძველი კოლხური სამლოცველოები (იგულისხმება ვანის არქეოლოგიური გათხრები). არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სტრაბონის მიხედვით „სვანებს ზოგიერთები იბერიულ ტომად მიიჩნევენ“ (Д. Мухелишвили, Некоторые проблемы историческоведческой критики, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1986, №3, გვ. 64). ცხადია, ასეთი ტომობრივი იგივეობა ეგრისელებსა და მესხებს, ე.წ. „ქართვეს“ შორის როგორც მათ უცხოელი ავტორები აიგივებენ. არაა შემთხვევითი, ამიტომაც წერენ უცხოელი ისტორიკოსები, რომ „ლაზები – „იბერიული ტომია“ (საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, 1995, ტ. I. გვ. 30-60).

თვით ძველი კოლხური კულტურის არეალი, თავის მხრივ, არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ საქართველოს დასავლეთით, პირიქით, იგი თითქმის ფარავდა თანამედროვე საქართველოს და სცილდებოდა კიდევ მის საზღვრებს, კერძოდ აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ რაიონებთან ერთად კოლხური კულტურა მოიცავდა ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ რეგიონს და ამასთანავე სამხრეთით აღწევდა თანამედროვე ჩრდილო სომხეთის უკიდურეს წერტილამდე – სევანის ტბამდე.

ძველი ქართული წყაროების დაბეჯითებული მტკიცებას, რომ დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ერთი ენის მატარებელ ეთნოსს წარმოადგენდა, ეთანადება სომხური უძველესი წყაროები. ისინი ასევე დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ ქართველი ხალხის თავდაპირველი საცხოვრისი კავკასიაში არის დასავლეთი საქართველო.

ძველ სომეხ ისტორიკოსთა დაბეჯითებული მტკიცებით დასავლეთი საქართველო, მიწა-წყალი, სადაც შემდგომ აფხაზთა სამეფო წარმოიქმნა, ქართველთა უძველესი საცხოვრისია ისტორიის გარიჟრაჟიდანვე. მოვსეს ხორენაცისა და უხტანესის მიერ მოთხრობილ ამბავში ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის (ძვ.წ. VI ს.) მიერ სამხრეთიდან შავიზღვისპირეთში ქართველთა გადმოსახლების შესახებ თავისთავად იგულისხმება წმიდა წერილში (ბიბლიაში) მოცემული ცნობა იმისა, რომ ჩრდილოეთის ხალხები ძვ.წ. VIII-VII სს-ში ჯერ სამხრეთში გადასახლდნენ, შემდგომ კი ისინი უკანვე დაბრუნდნენ.

ქრისტეშობამდე IX-VIII საუკუნეებში კოლხეთს ჩრდილოეთიდან შემოესივნენ კიმერიული ტომები, ეს იყო უძლიერესი ხალხი (ქართველებს მათგან შემორჩენიათ სიტყვა გმირი), რომელიც კოლხეთის სახელმწიფოებრიობის მოსპობის შემდეგ შეესია აზიის ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებს, ილაშქრა ისრაელამდეც კი. ამ დიდ ლაშქრობას შეიძლება ვუწოდოთ ჩრდილოეთის ხალხთა დიდი გადასახლება, იმდენად მნიშვნელოვანი იყო ეს მოვლენა, რომ წმიდა წერილშიც აისახა. „აჰა, მოვუხმობ ჩრდილოეთის ყველა ტომს, ამბობს უფალი, და ავამხედრებ ამ ქვეყანაზე, მის მცხოვრებლებზე და ირგვლივ ყველა ხალხებზე“ (იერემია, 25, 9).

ჩრდილოეთის ხალხების დიდი ლაშქრობა ისრაელში, ეს უფლის ნება ყოფილა. ამ ხალხთა შორის, ბიბლიის კომენტატორების განმარტებით, იყვნენ „მოსოხისა და თუბალის“ ხალხები (ქართველები), რომელნიც თურმე აიძულა გოგის (კიმერიელთა) ხალხმა მათთან ერთად ელაშქრათ სამხრეთში. ისრაელის მთებამდეც კი მიუღწევიათ მათ და, როგორც ჩანს, მოსოხებს გაუმარჯვნიათ და იქ გაბატონებულან კიდევ, რაც ფსალმუნშიც ასახულა – „ვაიმე ხიზანი ვარ მეშექისა, ვბინადრობ კედარის კარვებთან“ (ფსალმ. 119 (120), 5, წმ. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, 1989 წ.). ვინ იყვნენ მეშექები (მოსოხები), რომელთა ხიზნად გადაქცეულა წმიდა მიწის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნები? იმ ეპოქისავე, ქრისტეშობამდე VI საუკუნის ავტორი ჰეკატოს მილეტელი, როგორც ითქვა, გვაძლევს ცნობებს მათ შესახებ: „მოსოხი – კოლხური ტომია“, მაშასადამე, მეშექები ანუ მოსოხები – ის კოლხები არიან, რომელთაც კიმერიელთა იძულებით ჩრდილოეთიდან სამხრეთში ილაშქრეს, ანუ გადასახლდნენ, რადგანაც ეს ლაშქრობა ერთ ან ორ წლიანი არ იყო, ეს იყო საუკუნოვანი პროცესი.

„აჰა, მოგისევ ხალხს შორიდან, ისრაელის სახლო, ამბობს უფალი, მაგრამ ძველისძველ ხალხს, რომლის ენა არ გეცოდინება და ვერ გაიგებ, რას ლაპარაკობს, ძლიერი ვაჟკაცები არიან ყველანი“ (იერემია, 5:5-16).

უფლის ნებით ისრაელის სახლს, როგორც ვთქვით, მოსოხები შესევნიან გოგის (კიმერიელთა) იძულებით, მოსოხები კი კოლხური ტომი იყო, რომლის ენა ისრაელში არ სცოდნიათ. მათი (კოლხების ენა) გ. მელიქიშვილის გამოკვლევის თანახმად, იმხანად ქრისტეშობამდე IX-VIII სს-ში ყოფილა ჯერ კიდევ არადიფერენცირებული საერთო ქართული ე.წ. ქართი-ზანური ენა, ამ ენის დიფერენციაცია ახალი დაწყებული ყოფილა, და ჯერ კიდევ არსებობდა ენობრივი ერთობა. თუმცა უფრო სავარაუდოა, რომ დიფერენციის ეს პროცესი გაცილებით გვიან, ქრისტეშობის შემდეგ დაიწყო. როგორც ითქვა, დამარცხებული კოლხეთიდან ქართველები გადასახლებულან სამხრეთის ქვეყნებში, მაგრამ მალევე უფალს უნებებია, თანახმად წმიდა წერილისა, რომ ისინი უკანვე დაბრუნებულიყვნენ – ეზეკიელი ახსენებს კიდევ სიტყვებს „გაგაბრუნებ“, ე.ი. უკან დაგაბრუნებ, ჩრდილოეთში, საიდანაც მოხვედით:

„აჰა, შენზე ვარ გოგ, რომის, მუშექის და თუბალის მთავარო, გაგაბრუნებ... თორგომის სახლს, ჩრდილოეთის კიდებებიდან მთელი თავისი ურდოთი, ურიცხვი ხალხითურთ შენთან ერთად“ (ეზეკიელი, 32:26).

მაშასადამე, სამხრეთში ლაშქრობდნენ ხალხთა ურდოები, ურიცხვი რაოდენობა, მათ შორის თორგომის სახლში შემაჯავლი ხალხები, მოსოხები, თუბალები, მათი მთავარი იყო გოგის ხალხი, ყველანი ისინი უკანვე, თავის სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყვნენ. ეს იყო წინასწარმეტყველება ეზეკიელისა, რომელიც, ცხადია, აღსრულდა კიდევ. წმიდა წერილში ასახულია გეგმა, თუ რისთვის ინება უფალმა ჩრდილოეთის ხალხების ლაშქრობა ისრაელში და შემდეგ კი მათი უკან დაბრუნება გარკვეული სასჯელის სახით – უფალს ნებავდა, რომ ჩრდილოეთის წარმართ ხალხებს ეცნოთ ჭეშმარიტი ღმერთი, უფალს ნებავდა არა ხალხების სიკვდილი და გაქრობა, არამედ გაწვრთნა: „მიხვდებიან ხალხები, რომ მე უფალი ვარ, რომ წმიდა ვარ ისრაელში“ (ეზეკ. 39:7). „წამოგიყვან ჩემი ხალხის წინააღმდეგ, რომ მიცნონ ხალხებმა, როცა ვაჩენ ჩემს სიწმიდეს შენში, გოგ მათ თვალწინ“ (ეზეკ. 38:16). ახლა, უფალმა ინება, ქართველები უკანვე, თავის სამშობლოში დაბრუნებინა, ასევე გასაწვრთნელად. ეს მომხდარა ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის ხელით.

ეზეკიელის აღნიშნულ მუხლს განმარტავენ ბიბლიის დიდი კომენტატორები, მათ შორის ეკლესიის ისტორიის მამად წოდებული ევსევი კესარიელი და წმიდა იოანე ოქროპირის საუკეთესო მოწაფე ეპისკოპოსი თეოდორიტე კვირელი. ეს უკანასკნელი წერს: „გოგ და მაგოგ სკვითური ტომებია, ხოლო მოსოხ, ამბობენ კაბადოკიელები არიანო, თობელ კი იბერებიო... სახლი თოგორმისა (თორგომასი) ფრიგიელები არიანო ... ფრიგიელები და გალატები და იბერები ... ამბობს წინასწარმეტყველი სკვითებთან ერთად ლაშქრობდნენ ... იძულებული გახადეს მონაწილეობა მიეღოთ ლაშქრობაში“ (გეორგიკა, I, გვ. 223).

როგორც ითქვა, ეზეკიელის წინასწარმეტყველება ახდა, ქართული ტომების დიდი ნაწილი, უკანვე, სამშობლოში დაბრუნეს დაახლოებით კოლხეთზე კიმერიელების შესევნიდან 200-300 წლის შემდეგ. ეს ასე მომხდარა ევსევი კესარიელის განმარტებით: „ნაბუქოდონოსორმა, რომელიც ჰერაკლეზე უფრო ძლიერი იყო, მის შემდეგ რაც საომარი ჯარი შეკრიბა, მიაღწია ლიბიელთა ქვეყანაში და იბერთა ქვეყანაში, აჯობა მათ, გააცამტვერა და დაიმორჩილა, მათგან ერთი ნაწილი გადაასახლა მან პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეზე და იქ დაასახლა“ (გეორგიკა, I, 1961, გვ.30).

იმავეს წერს თეოდორიტი და სხვა უამრავი ძველი ავტორი. გარკვეულია, რომ ევსევი კესარიელი იყენებდა ქრისტეშობამდე IV-III საუკუნეებში მცხოვრები ისტორიკოსის მეგასთენეს ცნობას.

მაშასადამე, იერემია, ეზეკიელი, ჰეკატოს მილეტელი, მეგასთენე, ევსევი კესარიელი და სხვანი ერთსა და იმავე ამბავს მოგვითხრობენ – ქართველები ძვ.წ. VIII ს-დან გადასახლდნენ სამხრეთში, სამხრეთიდან მათი ერთი ნაწილი VI ს-ში უკანვე დააბრუნეს სამშობლოში, კერძოდ სად? – „პონტოს (შავი) ზღვის აღმოსავლეთ მხარეზე“ – თუ კერძოდ, რომელი იყო ეს მხარე, წერენ მოვსეს ხორენაცი და უხტანესი. „ხოლო პონტოს ნაპირზე რომ დაბინავდა, ის ტომი აღორძინდა, გამრავლდა ზღვის პირას აქეთ-იქით, მოედო იმ მხარეს და გავრცელდა სომეხთა და ალბანთა საზღვრამდე შეიქმნა ფრიად მრავალი ხალხი და იმ ქვეყანას აფხაზეთი ეწოდება“ (უხტანესი, განყოფისათვის სომეხთა და ქართველთა, გვ. 67).

აი, რომელ ქვეყანას ეწოდება აფხაზეთი და ვინ არიან აფხაზები! ესენი არიან ის იბერები, რომელნიც ქრისტეშობამდე 600 წლით ადრე დაბრუნდნენ შავი ზღვისპირას და გამრავლდნენ, მათ ქვეყანას კი X ს-ში აფხაზეთი ეწოდება, ესაა X ს. ავტორის ცნობა. ესაა პასუხი იმ კითხვაზე, რომელიც წერილის დასაწყისში იყო დასმული – ვინ არიან აფხაზები?

X საუკუნე აფხაზეთს სამეფოს უდიდესი ძლიერების დრო იყო. ტაო-კლარჯეთის სამეფოსთან ის ჯერ კიდევ არ იყო გაერთიანებული. ამ დროს მოღვაწეობდა უხტანესი, საუკეთესო მცოდნე იმჟამად ქართველების ქვეყნისა და მისი ეკლესიისა, ამიტომაც მიანდეს კიდევ შესაბამისი ისტორიის დაწერა. იმჟამად სომხური ისტორიოგრაფია იმ დიდი მარცხის გამო, რაც სომხურმა ეკლესიამ განიცადა კირიონ კათალიკოსთან პაექრობისას, ძალზე კრიტიკულად და მტრულადაც კი იყო განწყობილი ქართველთა მიმართ, ამიტომაც უხტანესი, ცხადია, მიემხრობოდა აფხაზებს, ისინი ქართველები რომ არ ყოფილიყვნენ და მათ სასარგებლოდ წარმოაჩინდა ისტორიას, მაგრამ უხტანესს აზრადაც კი არ მოსდის აფხაზების სხვა ხალხად გამოცხადება, მისთვის მართლა არსებობს აფხაზეთი – ვითარცა ქვეყანა, მაგრამ მისი მცხოვრებნი – მხოლოდ და მხოლოდ ქართველები არიან, მცხოვრებნი პონტოს ზღვიდან სომხეთ-ალბანეთის საზღვრამდე, – „ითესლეს და გამრავლდნენ (პონტოს ზღვის პირას) და გახდა ტომი, რომელსაც თავის პირველ ქვეყანაში ივერიას უწოდებდნენ, აქ კი ქართველნი ეწოდათ“ (უხტანესი, განყოფისათვის..., გვ. 67).

იმავეს უფრო ადრე წერდა მოვსეს ხორენაცი (იხ. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. I, გვ. 107). დასავლელ ქართველნი, კერძოდ კი ეგრისელები მათთვის უპირველესი ქართველებია, ანუ ისინი, რომელნიც გამრავლდნენ ზღვის პირას და აავსეს ვრცელი ქვეყანა – დასავლეთ საქართველოდან გუგარაქის ჩათვლით (ეგური – გუგარქი).

„მოქცევაი ქართლისაი“ – უძველესი ქართული წყარო ამავე ამბავს გადმოგვცემს – სადღაც სამხრეთში იყო ქართველთა ძველი ქვეყანა – „არიან-ქართლი“. აქედან ისინი გადმოსახლდნენ კავკასიაში და დაესახლნენ შავი ზღვისპირეთიდან სომხეთ-ალბანეთამდე, ალექსანდრე მაკედონელმა მათ შეუქმნა სახელმწიფო, რომლის ჩრდილო დასავლეთი საზღვარი იყო მდ. ეგრისწყალი, დასავლეთით შავი ზღვა, სამხრეთ-აღმოსავლეთით კი – ცროლის მთა. (მოქცევაი ქართლისაი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტ. ძეგლები, I, 1964, გვ. 81).

VIII-X სს-ში ქართის ტომი აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოში რომ გადასახლებულიყო და იქ ამის შედეგად გავრცელებულიყო ქართული ენა, როგორც წერს უახლესი რუსული ენციკლოპედია, ეს ეცოდინებოდა ამავე ეპოქის მოღვაწეს უხტანესსა და უფრო ადრინდელი თხზულების „მოქცევაი ქართლისაის“ ავტორს, მაგრამ ეს ამბავი არც გაუგონიათ. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების დროს ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში საქართველოს მიწა-წყალზე უცხოელები, არც კავკასიური ტომები ცხოვრობდნენ ქართველთა გარდა – „დაიპყრა ალექსანდრე ყოველი ქართლი და მოსრა ყოველი იგი ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი და უცხონი იგი ნათესავნი მოსრნა და დაატყვევნა და დედანი ყრმანი უცებნი, თხუთმეტისა წლისა უმცროსნი და დაუტყვნა ნათესავნი ქართლოსიანი“ (ქ.ც. I. გვ. 18).

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ქართლოსი – ქართველთა ეთნარქი სამხრეთის ქვეყნიდან ჩამოსახლდა ქართლში – „ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთვის არაგვი მტკვარსა“ (ქ.ც. I. გვ. 8).

„მოქცევაი ქართლისაის“ ცნობა ქართველთა სამხრეთიდან ჩამოსახლების შესახებ, უფრო ახლოა ზემოაღნიშნულ უცხოელ ავტორთა თვალსაზრისთან, ამ უძველესი ქართული წყაროს მიხედვითაც ქართველთა სამოსახლო არეალში არც ერთი კავკასიური ტომი არ ცხოვრობდა ქართველთა გარდა – ალექსანდრემ ისინი განდევნა – „ჰონთა დასცა მახვილი“ (ძეგლ. I. 1964, გვ. 81), ქართველები დასხდნენ შემდეგ საზღვრებში: „თანა ჰყვანდა ალექსანდრეს, მეფესა აზოისაი, ძე არიან ქართლისა მეფისაი და მიუბოძა მცხეთა საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრის წყალი და სომხითი და მთა ცროლისაი“ (იქვე, 81).

მაშასადამე, როგორც მრავალჯერ აღინიშნა, „მოქცევაი ქართლისაის“ თანახმად ქრისტეშობამდე შექმნილი პირველი ქართული სახელმწიფოს საზღვარი დასავლეთით შავი ზღვა, ჩრდილო-დასავლეთი მდინარე ეგრისწყალი, დასავლეთი საქართველოს გარდა მასში მთელი აღმოსავლეთ საქართველო შედის, ესაა ერთი სახელმწიფო, დასახლებული ერთი ქართველი ხალხით, მის გარდა არცერთი სხვა კავკასიური ტომი აქ არ ცხოვრობს – თავისთავად ეგრისელები, სვანები, მარგველები და ა.შ. ქართველები არიან. ესაა ის უძველესი თეორია ქართველთა წარმოშობის შესახებ, რომელიც მთლიანად განსხვავდება ნ. მარის და მისი სკოლის მიერ შექმნილი ე.წ. „ქართიზაციის“ თეორიისაგან, რომელიც საბჭოთა ისტორიოგრაფიამ აიტაცა და გააბატონა. ამ თეორიის მიხედვით საქართველოში ქართველთა გარდა სხვა კავკასიელ ხალხებსაც ძველთაგანვე უცხოვრიათ, რომელნიც გაქართველდნენ – ილია ჭავჭავაძე ამიტომაც წერდა: „ამ ცუდლუტურ მეცნიერობით სწადიათ ქვეყანა დააჯერონ ვითომც ისტორიული უფლება მიუძღვით ამ ადგილებში ბინის დაღებისა“ (ი. ჭავჭავაძე, რჩეული, ტ. 5. 1987, გვ. 32).

ამ „ცუდლუტ მეცნიერთა“ მეთაური XIX საუკუნეში პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორი პატკანოვი ყოფილა, ილია წერდა „ქართველ ნათესაობას სჭერია მთელი სივრცე ლალისის მდინარითგან მცირე აზიაში – შავი ზღვის პირამდე და მთელი აღმოსავლეთი მხარე ამ ზღვისა, აგრეთვე ის ადგილები რომელნიც მტკვარსა და არაქსს შუა მდებარეობენ, აშკარაა, რომ ვისაც ამ ადგილების დაჩემება უნდა ან ქართველის კუთვნილების გაუქმება – მოუნდება დაამტკიცოს, რომ ზემო დასახლებულნი ერნი ქართველთა ნათესაობისა არც იყვნენ და არც არიან. სწორედ ასე მოიქცა ჩვენი გულადი პროფესორი (პატკანოვი) და გვეფიცება რომ მოსხები და კოლხები ქართველის ნათესაობისანი არ არიანო“ (იქვე, გვ. 40).

აი, საიდან იღებს „გაქართვება“ – გაქართველების მოსაზრება საფუძველს, რომელიც ნამდვილ თეორიად უკვე ნ. მარმა გადააქცია, ილია მასზე წერდა – „მე პატკანოვის შეგირდი ვარო, იძახის თავმოწონებით ბატონი მარი, სომხების პროფესორს პეტერბურგის უნივერსიტეტში“ (იქვე, გვ. 43). „მარი ისე ირჯება, თითქოს ჩვენზე გულმოსულია და ჯავრს იყრის ... რომ ჰლამის ხელიდამ გამოგვაცალოს ჩვენ ჩვენი საუნჯე“ (იქვე, გვ. 46, 47).

XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში მთელი რუსეთის იმპერიის პრესაში მიმდინარეობდა გააფთრებული კამპანია ქართული ეკლესიის წინააღმდეგ, ავტოკეფალიის მოთხოვნამ იმდენად გააღიზიანა სამთავრობო წრეები, რომ პრესა ქართულ ეკლესიას სახავდა „მტაცებელ ეკლესიად, რომელსაც მთელი კავკასიის დაპყრობა სურს“. ეს იყო სიცრუე, გამოძახილი იმისა, რომ მართალია, ხელისუფლებამ თბილისის ეკლესიების უმრავლესობაში აკრძალა ქართულენოვანი წირვა ლოცვა, მაგრამ დიდი მცდელობის მიუხედავად, ეს ვერ შეძლო კუთხეებში, განსაკუთრებით კი სამეგრელოში, სამეგრელოს მოსახლეობა და სამღვდლოება ზედიზედ გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას, იწვევდნენ კრებებს, სადაც კატეგორიულად მოითხოვდნენ სამეგრელოში უცვლელად დარჩენილიყო მამაპაპეული ქართული ღვთისმსახურება, ამის სანაცვლოდ, იმპერიულმა და მათ შორის რუსეთის სამეცნიერო წრეებმა მიზნად დაისახეს, როგორმე ჩამოეშორებინათ სამეგრელო და მთელი დასავლეთი საქართველო ქართველი ხალხის ოჯახიდან, ამისათვის პირველ რიგში ესაჭიროებოდათ მტკიცება იმისა, რომ მეგრული ენა სინამდვილეში ქართული ენის დიალექტი კი არ იყო, როგორც იქამდე მიიჩნევდნენ საქართველოში, არამედ დამოუკიდებელი ენა. მართლაც, ეს მათ „მეცნიერულად“ დაამტკიცეს, შემდეგ კი მას „ქართიზაციის“ თეორიაც ამოუყენეს გვერდით, ამ უკანასკნელმა კი არა მხოლოდ დასავლეთ საქართველო, არამედ უკვე სამხრეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ნაწილზეც ქართველი ხალხის უფლებები მკვეთრად შეამცირა. ეს თეორია საბჭოთა ისტორიოგრაფიამაც გაიზიარა.

ნიკო მარი თანახმად ივანე ჯავახიშვილისა, არა თუ აფხაზებს, სვანებსა და მეგრელებსაც კი არაქართველებად მიიჩნევდა. დიდი ივანე წერდა – „აკად. ნ. მარი მისაყვედურებს, რომ მეგრელებს, სვანებს და აფხაზებს მე ქართველებს ვუწოდებ და პონტოსა და ფრიგიის ერები თითქოს ქართველებადაც კი მიქცევაი. აფხაზებს მე ქართველთა მონათესავედ ვთვლი, მაგრამ ქართველებს

არ ვუწოდებ, რაც შეეხება მეგრელებს და სვანებს და დავუმატებ ჭანებსაც, მათ მართლაც ქართველ ტომებად ვოვლი და ვუწოდებ...” (ივ. ჯავახიშვილი, ტ. I, გვ. 152).

სვანურის ნარეკობის თეორია ნ. მარის შექმნილია, რომლის შესახებ ა. ონიანი წერს – „სვანურის ნარეკობის მცდარი თეზისი აფხაზი მოსახლეობის საქართველოს მიწა-წყალზე (სვანეთის მეზობლად) „ათასწლეულთა განმავლობაში“ ცხოვრების საბუთად გადაიქცა.

ასე აქცია ნ. მარმა დასავლეთ საქართველოს ქართველები არაქართველებად, მაგრამ მისი ყურადღება არც აღმოსავლეთ საქართველოს ასცდა. მისი თეორიის თანახმად, ფშავ-ხევსურები ჩეჩნური ტომები ყოფილან – შემდეგ გაქართველებულნი. ამ თეორიას ზოგიერთი ქართველი მკვლევარი არა ქართულ, არამედ რუსულ ენაზე დაბეჭდილ წიგნებში ამრავლებს, მაგალითად, 1983 წელს ზ. ანჩაბიძის რედაქტორობით დაბეჭდილ წიგნში „Культурные взаимосвязи народов Грузии и центр Предкавказия“ ნათქვამია ნ. მარიმ შესახებ – В своем труде “К истории передвижения яфетических народов”, он пишет слудеющее: “Не скрою, что грузинские горцы, в числе из хевсуры и пшавы, мне сайчас представляются такими же грузинизированными племенами чеченского народа” (გვ. 33). ნ. მარს სხვა შრომაშიც ასეთივე აზრი გამოუთქვამს, რომ ფშავ-ხევსურები ჩეჩენი ხალხის ტომები არიან – В своем труде «Племенной состав населения Кавказа» Н. Марр особо выделил чечено-ингушские племена, отнеся их к восточной группе яфетических народов Кавказа, в которую входят пшавы, хевсуры и цова тушины или бацны (იქვე, გვ. 82). ნ. მარის აზრით, მხოლოდ X საუკუნის შემდეგ გაქართველებულა ჩეჩნების ერთი ნაწილი (ფშავ-ხევსურები მისი აზრით), ხოლო მეორე ნაწილი კი ჩრდილო კავკასიაში გადასულა (იხ. ზ. დიდბუღიძის დასახ. ნაშრ. გვ. 34). მარის ეს თეორია ცნობილი მეცნიერების მხარდაჭერით სარგებლობს.

რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ასეთი აბსურდული თეორიის უკრიტიკოდ მიღებას და გაღრმავებას, განსაკუთრებით რუსულად გამოცემულ წიგნში? სავალალო! თუ რაიმე დიდი პოლიტიკური კატასტროფის გამო ჩრდილო კავკასიიდან ჩეჩნების ტომი საქართველოში გადმოსახლდა (ახლაც ცხოვრობს ახმეტის რაიონში, ქისტების ერთი ჯგუფი). ისინი ნ. მარის თეორიაზე დაყრდნობით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს თავის ისტორიულ სამშობლოდ გამოაცხადებენ. განა უმაგალითოა ასეთი ვარაუდი? ასევე არ იქცევიან აფსუები და სხვანი? ეს კითხვა ჩვენ დავსვით პრესაში ჯერ კიდევ აფხაზეთის ომის წინ (იხ. გაზ. სახალხო განათლება, 17.V 1990 წ.).

ახლა ვნახოთ რას წერდა ნ. მარი სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის შესახებ – „ნ. მარის დასკვნით, თუმცა, კლარჯეთი, ტაოსთან ერთად შემოერთებულ იქნალ საქართველოსთან მე-8-9 საუკუნეებში, მაგრამ მოსახლეობის შემადგენლობით იგი, ვითომც, ამის შემდეგაც სომხური დარჩა. კლარჯეთი, ისე როგორც ტაო, დასახლებული იყო სომხებით, რომლებიც სარწმუნოებით ქალკედონიტები (ე. ი. მართლმადიდებლები) იყვნენო. ამრიგად, ნ. მარის მტკიცებით, კლარჯეთის და ტაოს მოსახლეობა თვით შემდგომ ხანაშიც კი, ეს იყვნენ არა ქართველები, არამედ ძირითადად გაქართველებული სომხები“ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 404).

შედეგი სამხრეთ საქართველოს „მკვიდრი“ სომხების გაქართველების თეორიისა? სხვა ერს (ისევე როგორც აფსუებს) უჩნდება პრეტენზიები ქართულ კულტურაზე, სამხრეთ საქართველოს მატერიალურ თუ სულიერ ძეგლებზე, მიწა-წყალზე. საქმე იქამდეც მიდის, რომ არათუ პეტრიწონის მაშენებელი ძმები ბაკურიანისძენი გამოაცხადეს სომხებად, არამედ ათონის ივერთა მონასტრის ბერებიც კი, და კიდევ უფრო უარესია მოსალოდნელი, რამეთუ სომხთა „გაქალკედონიტების“ ანუ „გაქართველების“ თეორიას ჩვენს „საბჭოთა“ ისტორიოგრაფიაში მყარი ფესვები აბეს გადგმული.

კიდევ უფრო მეტიც, თურმე ნუ იტყვი, და კახეთ-ჰერეთიც გაქართველებული (!) მხარეები ყოფილა – „ამ ათიოდე დღის წინათ, რუსულ ენაზე გამოვიდა კიდევ ერთი წიგნი „აზერბაიჯანის ისტორიული გეოგრაფია“, რომელსაც 1987 წ. თარიღი უზის... ამ წიგნში გატარებულია აზრი, რომ ალბანელები აზერბაიჯანელთა უშუალო წინაპრები არიან, ხოლო ინგილოები – გაქართველებული ალბანელები... ასევე „გაქართველებულია“ კახეთის დიდი ნაწილი, ჰერეთი და ა. შ. ხომ ხედავთ, სადამდის მიდის საქმე?“ (რ. მიმინოშვილი, „დღეს ან არასოდეს“, „ლიტ. საქ.“ 24. VI. 1988). საცა სამართალია, უნდა ითქვას, რომ ისტორიული გეოგრაფია, როგორც სამეცნიერო დარგი, აზერბაიჯანში ახალფენადგმულია და აღნიშნული წიგნი პირველი ნაბიჯია, ამიტომაც აზერბაიჯანელმა ისტორიკოსებმა ჰერეთის გაქართველების თეორია საბჭოთა ქართველი

ისტორიკოსებისაგან გადაიღეს. ჩვენი მეცნიერები, შეიძლება ითქვას, ინტენსიურად წერენ ჰერეთისა და ალბანეთის ერთი ნაწილის „გაქართველობის“ შესახებ. „ჰერეთი ეთნიკურ-ისტორიული მნიშვნელობით მოიცავდა გვიანი ხანის შიგნით კახეთსა და გალამხრის ტერიტორიას (მდ. ალაზნის ველი), საინგილოს ჩათვლით“ (ქსე, ტ. II, გვ. 628), ამიტომაც ჰერეთი თუ „გაქართველდა“, კახეთსაც ეს საქმე დამართნია და რაღას ვერჩით აზერბაიჯანელ მეცნიერებს, რომლებმაც ჩვენი ისტორიკოსებისაგან გადაიღეს თავიანთი აზრი?

როგორც ვხედავთ, თურმე ნუ იტყვიტ და „გაქართველებულა“ დასავლეთი საქართველო, აღმოსავლეთის მთა-ბარი, სამხრეთი საქართველო, მაშ, სადღა იყო საქართველო, სად ცხოვრობდა ქართველი ხალხი? ჩვენი მეცნიერი ა. აბდლაძეც ამ კითხვას სვამს სომხურ ენციკლოპედიაში დაბეჭდილ რ. ხონელიას სტატიის განხილვის შემდგომ.

მაინც ვინ მოიფიქრა ეს უცნაური გაქართველების თეორია (მოდი და ამის შემდეგ გაგიკვირდეს საქართველოსათვის „იმპერიის“ წოდება)? ამ თეორიას საფუძველი დაუდო ნ. მარმა და მისმა მიმდევრებმა გააღრმავეს: „ქრისტიანობის გავრცელება აღმ. საქართველოს მთიანეთში მათ ქართიზაციას განაპირობებდა, რაც შეეხება დას. საქართველოს... დას. საქართველოში გაბატონდა ქართული ეკლესია და მღვდელმსახურებაც ქართულ ენაზე სრულდებოდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი დას. საქართველოს ქართიზაციის პროცესს“,- წერს ჩვენი ენციკლოპედია (იხ. ქსე, ტ. „საქ. სსრ“, გვ. 61). მარისაგან მომდინარეობს იდეა აღმ. საქართველოს მთიანეთის, ჰერეთის, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის „ქართიზაციის“ ანუ გაქართველების შესახებ. ხელოვნურია ტერმინი და იდეაც ასეთივეა. სინამდვილეში კი ძველი ქართული წყაროების თანახმად, მთიანეთის, კახეთ-ჰერეთის, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობას „ქართიზაცია“ არ ესაჭიროებოდა, რადგანაც ძველთაგანვე (და ფარნავაზ მეფის დროსაც) აღნიშნულ კუთხეთა მცხოვრებნი, როგორც მთიელები, ისე ეგრისელები (მესხებსა და ჰერ-კახელებზე რომ არაფერი ვთქვით) ქართველი ხალხის ძირითად ნაწილად განიხილებოდნენ. ეს ასე ესმის „ქართვლის ცხოვრებას“, ძველ ქრონიკებსა და ძველ ავტორებს. ქართული ენა დასავლეთ საქართველოში „ქართული ეკლესიის გაბატონების“ გამო კი არ „გავრცელდა“ და ამის გამო, მათი „ქართიზაცია“ კი არ მოხდა, როგორც წერს ჩვენი ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, არამედ ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე, წარმართობის დროს კულტმსახურების ენა ქართული იყო.

დიდმა ივანე ჯავახიშვილმა გამოიკვლია, რომ ქრისტიანობამდე ყველა ქართულ ტომთათვის (სამეგრელოსა და სვანეთშიც) კულტმსახურების ენა იყო ქართული ენა და არსებობდა მთელი ქართველი ხალხის მომცველი საერთო სარწმუნოება, წარმართული). „ცხადი ხდება, რომ არამცთუ საზოგადოდ ყველა ქართველ ტომთათვის, მათ შორის, მეგრელთა და სვანთათვის, საერთო წარმართობა არსებობდა, არამედ, წარმართობის საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონდა“ („საქ. ისტორიის ნარკვევები“. ტ. I. გვ. 662).

როგორც ითქვა, ქრისტეშობამდე დიდი ხნით ადრე, ეს ყველა ტომთათვის საერთო ქართული ენა, მეფე ფარნავაზმა დააფიქსირა სრულიად საქართველოში, როგორც ერთადერთი სავალდებულო სახელმწიფო ენა, და საერთოდ, პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო წარმოიქმნა ფუძე ქართული (ანუ საერთო ქართული) ენის სხვადასხვა დიალექტებად დაშლის დაწყებიდან სულ რაღაც 300-400 წლის შემდეგ - „ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის დაშლის დასაწყისი ძვ. წ. VIII საუკუნით უნდა დათარიღდეს“ (იქვე, გვ. 338), ხოლო IV-III საუკუნეებში უკვე შეიქმნა ერთიანი ქართული სახელმწიფო სავალდებულო ქართული ენით. ამ დროს მეგრული და ქართული ენები ძლიერ ახლოს იდგნენ ერთმანეთთან და ერთმანეთის მიმართ დიალექტებს წარმოადგენდნენ, ანუ სახელმწიფო ქართული ენა სრულიად გასაგები იყო ეგრისის მოსახლეობისათვის, ის მის დედაენას წარმოადგენდა, თუმცა კი, თანდათან ყალიბდებოდა და ვითარდებოდა ახალი დიალექტი, „რა თქმა უნდა, ენობრივი და სხვა სახის განსხვავება ამ დროს ბევრად ნაკლები უნდა ყოფილიყო, ვიდრე შემდეგში“ (იქვე, გვ. 442).

ეს იმას ნიშნავს, რომ ფარნავაზმა ყველა ქართულ ტომთათვის გასაგები ენა გამოაცხადა სახელმწიფო ენად. ეს ენა ქრისტიანობის შემოსვლისთანავე იქცა ქართულ ტომთათვის ერთადერთ სამწერლობო, კულტურის ენად, რომლის შექმნა-შემუშავებაშიც მეგრელებსა და სვანებსაც თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი - წერს ივანე ჯავახიშვილი. „ქართველ ერს თავისი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და სამწერლო ენაც ჰქონდა და აბადია ეხლაც, რომელიც, როგორც ეს თვით აკად. ნ. მარსაც კარგად მოეხსენება, და თვითონაც არა ერთხელ დაუდასტურებია, მეგრელებისა და სვანებისთვისაც ერთადერთი სამწერლო და კულტურის ენა იყო და არის ეხლაც, რომლის შექმნა-შემუშავებაშიც მეგრელებსაც და სვანებსაც თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი“ (ივ. ჯავახიშვილი, ტ. I, გვ. 154).

ეს ის ქართული ენაა, რომელიც არა თუ ქრისტიანობის დროს, არამედ წარმართობის დროსაც საერთო ენას წარმოადგენდა ყველა ქართული ტომისათვის, და საერთო წარმართულ კულტურასაც ამ ენაზე აღასრულებდნენ (იხ. იქვე).

თუკი ეს ასეა, მაშინ არაა სწორი ჩვენი ენციკლოპედია, რომელიც, როგორც აღინიშნა, წერს, რომ - „დას. საქართველოში გაბატონდა ქართული ეკლესია და მღვდელმსახურებაც ქართულ ენაზე სრულდებოდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი დას. საქართველოს ქართიზაციის პროცესს“ (ქსმ, ტ. „საქ. სსრ“, გვ. 61). ჯერ ერთი, ქართული ეკლესია დასავლეთ საქართველოში არ „გაბატონებულა“, არამედ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველომ ერთდროულად მიიღო ქრისტიანობა I-IV საუკუნეებში, რასაც დაბეჯითებით მიუთითებენ ძველქართული წყაროები და დადასტურა არქეოლოგიამ (იხ. პ. ზაქარაიას „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“). მეორეც, ქართული ენა დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის დროს კი არ გავრცელდა, არამედ ჯერ კიდევ წარმართული ღვის მსახურება აქ ქართულად აღესრულებოდა ქრისტიანობის გავრცელებამდე, უფრო მეტიც, ლიტერატურული ანუ საეკლესიო ენის შექმნა-შემუშავებაში თვითვე ჰქონდათ მეგრელებსა და სვანებს უშუალო მონაწილეობა მიღებული - თანახმად ი. ჯავახიშვილისა, მაშასადამე, არავითარი „ქართიზაცია“ ამ ტომებს არ ესაჭიროებოდათ, „მეგრელებსა და სვანებს და დავუმატებ ჭანებსაც, მათ მართლაც ქართველ ტომებად ვთვლი და ვუწოდებ“ წერდა ივ. ჯავახიშვილი - „ქართველურ ტომებს“ კი არ უწოდებდა, არამედ „ქართულს“.

ამჟამად არსებული თვალსაზრისი ქართველი ხალხის ჩამოყალიბების დროის შესახებ ფაქტიურად ნ. მარის „გაქართველების“ თეორიას ეფუძნება, რომელიც დაახლოებით ასეთია - ერთიანი ქართველი ხალხი, როგორც ეთნიკური ერთობა, მხოლოდ IX-X საუკუნეების შემდეგ ჩამოყალიბდა, რადგანაც ამ საუკუნეებში „ქართველთა“ ტომმა გაავრცელა ქართულენოვანი მღვდელმსახურება ჰერეთსა, მესხეთსა და დას. საქართველოში, მთიანეთში, რის შემდეგაც გაქართდნენ აღნიშნულ კუთხეთა მცხოვრებნი - ჩამოყალიბდა ქართველი ხალხი. ამიტომაც საქართველო, როგორც კულტურულ-ეთნიკური მთლიანობა მხოლოდ XI საუკუნისათვის ჩამოყალიბდა. ეს თეორია აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ი. ჭავჭავაძის და (ნ. მარამდელი) ქართული ისტორიოგრაფიის შეხედულებას ქართველი ერის ჩამოყალიბების დროის შესახებ. დიდი ილია მართალი წერდა: „ჩვენს ერს ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით“ („ერი და ისტორია“). ილია ხშირად წერდა ორიათასწლოვანი ერთიანი ქართველი ერის შესახებ. ასეთივე თვალსაზრისი გააჩნიათ ილიას გარშემო შემოკრებილ დიდებულ ისტორიკოსებს.

მართალია, ძველთაგანვე არსებობდა ქართველი ხალხის სხვადასხვა ეთნოჯგუფები, მაგრამ ილიას თქმით, ისინი წარმოქმნილან ერთიანი ქართველი ხალხის წიაღში საუკუნეთა მანძილზე - „ის შემკრებლობითი, დიდებული, ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა, ჩვენი გონებიდამ ამოშრა, და ქართველი ეხლა ერთის კუნჭულის მცხოვრებთა საკუთარი სახელი, კერძობითი სახელიდა გახდა და არა საერთო, საყოველთაო მთელის იმ ხალხისა, რომელიც ერთად ტანჯულა... ქართველი ჩვენის ტომის საერთო სახელი აღარ არის აღარც გარეთ, არც მახლობლისათვის და აღარც უცხოეთის, იმერელი - იმერელია, მეგრელი - მეგრელია, ქართლელი - ქართლელია და სულ ყველანი კი ერთად ქართველები არ არიან... რაკი ის დიდებული ქართველობის აზრი, ის საყოველთაო სახელი გონებიდან გამოგვეცალა, ჩვენი გონება დაიფუყა, სულით და ხორციით დაკეწულმაწდით...“ (ი. ჭავჭავაძე, ტ. III, გვ. 77), თუმცა, კი „უეჭველია, რომ ჩვენ ხალხს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია თავისი ცხოვრებითა და თვითმოქმედებითა“ (ტ. IV, გვ. 176). მაშასადამე, ორიათასწლოვანი ქართველი ერი შემდგომში „დაკეწულა“ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებად (ე. წ. ქართველურ ტომებად და დიალექტმატარებლებად), რომელთა კვლავ ერთიან ერად შეკავშირებისათვის იღწვოდა ილია. მისი რწმენით, ერთიანი ქართველი ხალხი უკვე ჩამოყალიბებული იყო ქრისტიანობამდე დიდი ხნით ადრე. მის წიაღში არსებული სხვადასხვა ეთნოჯგუფების არსებობა შედეგია ერთიანი ერის ნაწილობრივი დაშლისა, რადგანაც ყოველი ერი დაპყრობისა და თავისუფლების დაკარგვის დროს განიცდის დენაციონალიზაციას, ხოლო ხელსაყრელი მომენტის დადგომისთანავე კი კონსოლიდაციას (განსაკუთრებით თავისუფლების აღდგენის შემდეგ). ილიამ იმ დროისათვის შესაძლებლობის ფარგლებში გარკვეულწილად შეაგნებინა ჟამთა ვითარების გამო „დაკეწულს“ ქართველობას კონსოლიდაციის აუცილებლობა.

ძველქართულ ისტორიოგრაფიას ქართველი და სომეხი ხალხები ერთ დროს ჩამოყალიბებულად მიაჩნია (ქართლოსისა და ჰაოსის ძმობა). ჩვენი ენციკლოპედია წერს - „სომეხი ხალხის ჩამოყალიბების ბოლო ეტაპი თანხვდება ძვ. წ. VI ს-ში სომხეთის სახელმწიფოს შექმნას. მან

ურარტუს სახელმწიფო დაიკავა“ (ქსე, ტ. 9, გვ. 463). ასეთივე აზრისაა „Советский энциклопедический словарь“, რომელიც წერს: „Во второй полве I тысяч до ны эе в осне сложилась арме народность“ (გვ. 78). ახლა ვნახოთ, რას წერს იგივე ენციკლოპედია ქართველი ხალხის ჩამოყალიბების შესახებ - ეს მომხდარა სომეხი ხალხის ჩამოყალიბებიდან თითქმის 1500 წლის შემდეგ - „В მშ-ჩ ვყე в осне сложилась грузы народность“ (იქვე, გვ. 349).

ახლა კი ვნახოთ იმავე წიგნის აზრი აფხაზი ხალხის ჩამოყალიბების დროის შესახებ:

„К მშშშ ვყ сложилась абхы народность“ (იქვე, СЭСბ 1980, გვ. 11). მას ბანს აძლევს ჩვენი ენციკლოპედია „...VIII ს-თვის ძირითადად დასრულდა აფხაზი ხალხის ჩამოყალიბება“ (ქსე, ტ. 2, გვ. 29). რა გამოდის? ქართველი ხალხის ჩამოყალიბება დასრულებულა X-XI საუკუნეებისათვის აფხაზი ხალხის ჩამოყალიბებიდან 2-3 საუკუნის შემდეგ! რა პრაქტიკული შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამგვარ თეორიას, მით უმეტეს, რომ არსებობს შემხვედრი თეორია IX-X საუკუნეებში დას. საქართველოს „გაქართვებისა“? - აი, ასეთ „აკადემიურ“ და მეცნიერულ თვალსაზრისს ეფუძნება ჯ. ჰიუიტისა და სეპარატისტთა რიხი.

ნ. მარის იდეები საყოველთაოდ დამკვიდრდა, რადგანაც, მისი კრიტიკა სასტიკად იყო აკრძალული საბჭოთა ხელისუფლების მიერ. აი, რას გვიამბობს აფხაზოლოგი, ცნობილი მეცნიერი აკადემიკოსი ქეთევან ლომთათიძე - „მე რომ ვსწავლობდი, თავიდან ყველაფერი რიგიანად მიდიოდა, მაგრამ ოცდაათიან წლებში ინტელეგენციის დარბევა დაიწყო... ვიჯექი აუდიტორიაში და მესმოდა: „გაეთრიოს ეს პროფესორი“ ... არა, ვერ გეტყვით, ვერ აღვწერ იმ სცენებს. ასპირანტურაში ვიყავი და რიცხავდნენ იმათ, ვინც ნიკო მარის თეორიებს არ იზიარებდა, მომხრეებს საქმე კარგად მისდიოდათ, ყბნელად გადავურჩი ამ პერიოდს“ (გაზ. „ახალგ. კომ.“ № 124, 15.X.1988). ნ. მარის მოწინააღმდეგე ისტორიკოს ენათ-მეცნიერები გააძევეს, ხოლო მომხრეებმა აღზარდეს ახალი თაობა ნ. მარის თეორიების ერთგულნი, ცხადია, მათ პ. ინგოროყვას თეორიები არამეცნიერულად მიიღეს.

როგორც აღინიშნა, ნ. მარის „გაქართველების“ თეორიის აღიარებამ ფაქტიურად ჩიხში შეიყვანა ქართული ისტორიოგრაფია.

ამ თეორიის გაბატონებას ხელი შეუწყო იმან, რომ რევოლუციამდე საქართველოში არ არსებობდა ქართველთა ისტორიის შემსწავლელი არც ერთი სამეცნიერო ცენტრი (უნივერსიტეტი, ინსტიტუტი). ჩვენი უნივერსიტეტის დაფუძნების შემდეგ, მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენი მეცნიერები უარყოფდნენ ე. წ. „გაქართველების“ (გაქართვების) თეორიას, მაგრამ მოხდა სრულებით მოულოდნელი რამ - ნ. მარის თეორიების კრიტიკა სასტიკად აიკრძალა. ნ. მარის თეორიების უბრალო კრიტიკისთვისაც კი არა მარტო აძეგებდნენ უნივერსიტეტიდან და სხვა დაწესებულებებიდან, არამედ სჯიდნენ და ასახლებდნენ კიდეც. ამ დროისათვის ნ. მარმა ე.წ. მარქსისტულ ენათმეცნიერებას დაულო საფუძველი, ის გახდა მთავრობისა და პარტიის უმაღლესი ორგანოების წევრი. „Академик Императорской Академии Наук стал и академиком АН СССР, практически главой советкой лингвистики. Особенно «результативным» был для Марра 1930 год. В этом году он беспартийный получает право произнести приветственное слово XVI съезду ВК(б) от имени всесоюзной ассоциации работников науки и техники. Его внимательно слушает Сталин. Марр немедленно получает партийный билет (что ему очень развязало руки), в затем – орден Ленина. В 1931 году академик Марр избирается членом ВЦИК... Иные суждения противоречащие марризма начали рассматриваться как «немарксистские», «идеалистические», «буржуазные», «вредные» ... после окончания войны, новый (чуть не ставший реашющим) этап борьбы последователей Марра за «чистоту» умов и кадров... (М. Горбановский, «Конспект по корифею», «Литературная газета», 25 мая 1988 г. № 21, стр. 12`&

ამ სტატიაში ნათქვამია, რომ როგორც ომამდე, ისე ომის შემდეგ, მრავალი ჭეშმარიტი, დიდი მეცნიერის სიცოცხლე შეიწირა „მარიზმმა“ - ასე უწოდებს ავტორი ნ. მარის სამეცნიერო მიმდინარეობას და მის სკოლას.

წმიდა ილიას განსაზღვრებით, ნ. მარის მასწავლებელსა და მოძღვარს პატკანოვს (პატკანიანს), ცნობილ მეცნიერსა და კავკასიოლოგს პეტერბურგში სურდა თავისი ერისათვის დაემკვიდრებინა სამხრეთ საქართველო, ამიტომაც წერდა ილია მასზე: „... ხელს იწვდის ტაოსკარზე, ეხლანდელ ჭოროხის ხეობაზე“ (იქვე, გვ. 734). პატკანოვის აღზრდილ ნ. მარს, მართალია „ქვათა ღაღადის“ დაწერის დროს პატკანოვისამებრ „ოინებში ჯერ თავი არ ეჩინა“, მაგრამ მალე, მანაც „ხელი გაიწოდა“ და თავი გამოიჩინა.

„ნ. მარის დასკვნით, თუმცა კლარჯეთი, ტაოსთან ერთად შემოერთებულ იქნა საქართველოსთან მე-8-9 საუკუნეებში, მაგრამ მოსახლეობის შემადგენლობით იგი ვითომც, ამის შემდეგ სომხური დარჩა“ - წერდა ილიას ჭეშმარიტი შეგირდი პ. ინგოროყვა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მარის (და მათი მოძღვრების) ანტიქართული ეროვნული იდეები განსაზღვრული იყო არა მარტო პირადი სიმპათია-ანტიპათიებით, არამედ რუსული იმპერიული პოლიტიკით (ცარიზმიც ასევე იქცეოდა) „... რუსიფიკატორული პოლიტიკა საგანგებოდ ითვალისწინებდა რუსეთის განაპირა მხარეების ეროვნულ-უფლებრივი ინტერესების შედახვას, ათანაბრებდა ეთნოგრაფიულ და ეროვნულ ნიშნებს და ამ გზით ცდილობდა დაენაწევრებინა ერთიანი ეროვნული სხეული, ყოველმხრივ შეეფერხებინა ერის კონსოლიდაცია“ (ვ. ჯაოშვილი „საქართველოს მოსახლეობა...“, 1984, გვ. 111).

ცხადია, იმპერია მხარს უჭერდა ყველა თეორიას, რომელიც ქართველი ერის კონსოლიდაციას აფერხებდა. სწორედ ასეთი იყო მარის „გაქართველების“ თეორია.

როგორც ითქვა, საბჭოთა ხელისუფლების დროს, ნ. მარის თეორიების კრიტიკა სასტიკად აიკრძალა, შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ გადრმავეა ამ თეორიებისა, მაგალითად, 1937 წელს ი. აბულაძემ საჯარო სხდომაზე წაიკითხა მოხსენება, რომელშიც გააღრმავა აღნიშნული შეხედულებანი - თითქოსდა ქართული ეკლესია შეიჭრა სომხურ მიწა-წყალზე ტაო-კლარჯეთში და იქ სომხური ეკლესიების ნგრევით, ჯვართა დაწვით მიაღწია საწადელს - „გაქართველა“ ეს მხარე - „ეკლესიათა ნგრევა და ჯვართა წვა კიდევ იმას უნდა მოასწავებდეს, რომ ერთი ეკლესია იჭრება მეორეში და მათ გვერდით და მათ ნაამაგარზე თავისას აფუძნებს. ესეც არაა უცხო ამბავი იმ დროისათვის. სომხეთის მიწა-წყალზე არა ერთი და ორი „ქართველთა“ სავანე იხსენება ამ დროს. ტერმინი „ქართველი“, როგორც აკად. ნ. მარმა დაამტკიცა, დიოფიზიტურს ნიშნავს ამ დროისათვის და იქმნება იგი მარტოდენ ქართველთა და სომეხთა ელემენტებისაგან“ (ი. აბულაძე, შრომები, IV, 1985, გვ. 10). ეს ი. აბულაძემ საჯაროდ წარმოთქვა 1937 წლის 17 დეკემბერს. მან, ცხადია ამ წლის მწარე გაკვეთილით იცოდა რისი თქმა შეიძლებოდა ამ დროს და რისი არა. თქვა ის, რაც მოსაწონი იყო იმ დროისათვის, კერძოდ, გააღრმავა ნ. მარის თეორია. ტაო-კლარჯეთი „სომხეთის მიწა-წყალად“ გამოაცხადა, ხოლო თურმე ნუ იტყვით და, „ქართველი ეთნიკურად ქართველს კი არ ნიშნავს, არამედ ისეთ მოსახლეობას, როელიც „ქართველთა და სომეხთა ელემენტებისაგან შედგება“. სინამდვილეში არავითარი სომხების „გაქართველება“ არ ხდებოდა ტაო-კლარჯეთში, ეს მხარე ქრისტიანობამდეც ქართველებით იყო დასახლებული, მაგრამ VI-VII საუკუნეებში, პოლიტიკური მიზეზების გამო, მოექცა სომხური ეკლესიის იურისდიქციის სფეროში, რამაც აქ ხელი შეუწყო საეკლესიო სომხურენოვანი წირვა-ლოცვის დანერგვას, მაგრამ VIII საუკუნის შემდეგ ტაო-კლარჯეთი კვლავ დედა ქართული ეკლესიის წიაღში დაბრუნდა, ამიტომაც, ცხადია, ეკლესიებში კვლავინდებურად აღსდგა ქართულენოვანი მსახურება. ესაა და ეს. აქ მოხდა არა „სომხების გაქალკედონიზება“, არამედ ქართველი მოსახლეობა დაუბრუნდა დედა ეკლესიას. კირიონ I-საც თურმე ქვემო ქართლში ქართულენოვანი წირვა-ლოცვის აღდგენა „არაქართული მოსახლეობის გასაქართველებლად“ სურდა (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, 2000, გვ. 28), ეს მოსაზრება არაეკლესიური და არასწორია, რადგანაც, როგორც ჩვენ გამოკვლეული გვაქვს, ქართული ეკლესია იძულებით არ აქელკედონიზებდა არაქართულ მოსახლეობას და მათ ამით არ აქართველებდა, როგორც ეს მიაჩნიათ ქართიზაციის თეორეტიკოსებს. ასევე ითქმის დასავლეთ საქართველოს შესახებაც. აქაც ქართული მოსახლეობის ერთი ნაწილი, სწორედ აღნიშნულ დროს (ძირითადად VII ს. 20-იანი წლებიდან, ერეკლე კეისრის ლაშქრობის შემდეგ) მოექცა ბერძნულ საეკლესიო სფეროში და ეს მხარეც თანდათან VIII-IX საუკუნეებში დაუბრუნდა დედა ქართულ ეკლესიას, რომლის წიაღშიც ის შედიოდა IV საუკუნიდანვე, რასაც ქართული წყაროები მიუთითებენ.

ეს მოსაზრება, როგორც ითქვა, თითქმის 10 წლის გამოქვეყნდა პრესაში, რაც საწყენად მიიჩნია ერთ-ერთმა პატივცემულმა მოსწავლემ ნიკო მარისა. მე მას ვუპასუხე, რომ საქმე სინამდვილეში შეეხებოდა საქართველოს მთლიანობის საკითხს. სამწუხაროდ, მას შემდეგ საქართველომ დაკარგა აფხაზეთი და სამაჩაბლო, ესაა ღია ჭრილობა ეროვნულ სხეულზე, დიდი ეროვნული მარცხი,

რომლის გამოსასწორებლადაც ისტორიკოსებმა უნდა თქვან ახალი სიტყვა, ის სიტყვა, რომლის თქმაც მათ არ შეეძლოთ კომუნისტურ-რუსული დიქტატურის დროს, ის თეორია, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს გაერთიანებას და არა მის დაშლას, ეს ჩემი აზრით არის ძველქართული თეორია ქართველი ხალხის ჩამოყალიბების შესახებ, რომელსაც ილია ჭავჭავაძე და მისი პლეადა უჭერდა მხარს და არა „გაქართველება-ქართიზაციის“ თეორია, რომელიც შემუშავდა რუსეთის იმპერიის წიაღში და თავის აპოგეას მიაღწია საბჭოთა ეპოქაში, თეორია, რომელიც აფერხებს ქართველი ერის კონსოლიდაციას და საქართველოს დაშლა-დანაწევრებას ასაბუთებს.

„თქვენ მუდამ ამბობდით ჩემთან საუბარში, რომ არ გქონდათ სრული სიმართლის თქმის უფლება და საშუალება საბჭოთა რეჟიმის დროს – ახლა თქვით!“ მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ქართველ ისტორიკოსებს 2003 წლის მაისის თვეში საპატრიარქოში გამართული „აფხაზეთისადმი“ მიძღვნილი კონფერენციის დროს, დიას, ახლა დადგა სიმართლის თქმის დრო – საქართველოს სახელმწიფოებრიობა აღსდგა და ერი თავისუფალია, „ახალი ღვინო ახალ ტიკებში უნდა ჩაისხას“, ბრძანებს წმიდა წერილი, ახალ თავისუფალ სახელმწიფოს ახალი გამაერთიანებელი თეორია ესაჭიროება, როგორც ამბობენ, „ახალი სხვა არაფერია, თუ არა კარგად დავიწყებული ძველი“. საბოლოოდ ალბათ უნდა ითქვას შემდეგი: რომ არა დიდი ივანე ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, პ. ინგოროყვა, მ. ლორთქიფანიძე და სხვა მრავალი დიდი მეცნიერი, ალბათ საბჭოური ისტორიოგრაფია მთლიანად დაშლიდა და დაანაწევრებდა ჩვენს ეროვნულ სხეულს. ისინი იდგნენ ვითარცა დიდი დამცავი კედელი უზარმაზარი ოკეანის წინააღმდეგ, მაგრამ მათ ცხადია, არ შეეძლოთ მისი დამანგრეველი ძალის შეჩერება, ახლა მადლობა უნდა ვუძღვნათ უფალ ღმერთს ყველაფრისათვის და განვაგრძოთ ჩვენი ეროვნული სხეულის მშენებლობა, რომელიც შეწყვიტა რუსეთის დამპყრობელმა იმპერიამ XIX ს. დასაწყისში 1801 წლის საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის შემდეგ.

საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ ქართველი ხალხის ჩამოყალიბების დროის შესახებ არსებობს ორი თეორია, პირველის, ძველქართულის მიხედვით, ქართველი ხალხი უკვე ჩამოყალიბებული იყო ქრისტეშობამდე IV-III საუკუნეებში და ამ დროისათვის იგი განსახლებული იყო როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, გააჩნდა ერთიანი სახელმწიფო (ფარნავაზის მიერ დაარსებული) და ერთიანი ენა, ეგრისელები, სვანები, მარგველები და სხვა დასავლეთ საქართველოს ჯგუფები აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობასთან ერთად ერთ ეთნიკურ ერთობას (ხალხს) წარმოადგენდა, ამიტომაც შეძლო მან ერთიანი, მთელი ქვეყნის მომცველი სახელმწიფოს დაარსება, ხოლო მეორე თეორია ჩამოყალიბდა XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში, რუსული იმპერიული წრეების დაკვეთით, ამ თეორიის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრობდა რაღაც ჰიპოთეტური „ქართის“ ტომი, რომელმაც VI-X საუკუნეებში შეძლო ქართული ეკლესიის დახმარებით მოეხდინა აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრი არაქართველი ხალხების ჰერ-ალბანელებისა და ჩეჩენ-ჩრდილოკავკასიელების „ქართიზაცია“ (ისინი თითქოს თანამედროვე კახეთსა, ქვემო ქართლსა და აღმ. საქ. მთიანეთში ცხოვრობდნენ), შემდგომ თითქოს ამ ქართველ ტომმა IX-X საუკუნეებში შეძლო ასევე ქართული ეკლესიის დახმარებით ტაო-კლარჯეთის მკვიდრი ქალკედონიტი სომხებისა და სხვა ადგილობრივ ტომთა გაქართველება-ქართიზაცია, ასევე ამავე საუკუნეებში თითქოსდა მოხდა აგრეთვე ქართიზაცია დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისა, რამაც VI-X საუკუნეებში საფუძველი ჩაუყარა ქართველი ხალხის ჩამოყალიბებას. ეს თეორია ერთადერთ გაბატონებულ თეორიად იქცა საბჭოთა საქართველოში, ამჟამად თავისუფლების აღდგენის შემდეგ ალბათ ქართული ისტორიოგრაფია მოვალეა კრიტიკულად გადახედოს ამ რუსულ იმპერიულ თეორიას ქართველი ხალხის ჩამოყალიბების დროის შესახებ და აღადგინოს პირველი თეორია, რომელიც ჩამოყალიბებულია ქართულ მატრიანეებსა და ძველ წერილობით წყაროებში.